ჯანმრთელობა ბოლოსია, „ვერსია“ ერთია

ვერსია

60 თვეთრი

№117 (1143) 18 - 19 ნოემბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

გაუქმდება თუ არა სავალდებულო სამხედრო სამსახური

გვ. 5

ქართველები ტერორისტების სიაში ფიგურირებენ

Terror in Europa

"Alles außer Kontrolle" - hat Kurz doch Recht?

"Wir sind verzweifelt, w[illegible] sehen, wie täglich Tausende M[illegible] unkontrolliert in unser Land kom[illegible] er die Syrer mischen sich [illegible] ausgebildete Tschetsch[illegible] erbaidschaner, Georgier, radikal[illegible] en aus dem Irak und Afg[illegible] das sind Gruppen, die uns Kr[illegible] sten bereits jetzt am meisten beschäftigen.

ექსკლუზივი

რას წერს ავსტრიული პრესა საფრანგეთში „სისხლიანი პარასკევის“ შემდეგ

ლევან იზორია: „საქართველო ტერორიზმის მაღალი რისკის კატეგორიის ქვეყნებში არ გადის“

გვ. 3-4

რა გამოწვევის წინაშე დგას საქართველო და როგორ აპირებს ხელისუფლება ტერორიზმთან ბრძოლას

ირაკლი სესიაშვილი: „პრევენციული ზომები უნდა გავაფაროთ, გარკვეული ჯგუფებისა და ადამიანების საზღვარზე გასვლა-შემოსვლის გასაკონტროლებლად“

აშშ საქართველოში ბოლო დროს განხორციელებულ რეფორმებს დადებითად აფასებს და რეგიონში საქართველოს უპირატესობას აღიარებს

გვ. 4

ვაჟა ოთარაშვილი მოშიმშილეების გეგმა „ბე“-ს ამხელს

გვ. 9

„თუ „ოცნება“ შეტაკებაზე წამოვა, მთელი მთავრობის გადადგომას მოვითხოვთ!“

ჰიპერმარკეტი „გორგია“ მომხმარებელს ცენტრალური გათბობის სისტემებს ყველაზე დაბალ ფასად სთავაზობს

გვ. 6

„იმიტირებული თვითმკვლელობა“ ზონაზე

როგორ სცადა „კაზიოლმა“ პატიმრის გადარჩენა

გვ. 6

პატიმრის დღიური

უმტკივნეულოა თუ არა თმის გადანერგვა



გვ. 8

რამდენ ხანს გრძელდება და შეიძლება თუ არა თმის გადანერგვა დიაბეტის, გულის და სხვა დაავადებების დროს

ისრაელის სადაზღვევო კომპანია „ალფას“ 700 ათას ლარს ედავება

რატომ აჭიანურებს საქმის განხილვას მოსამართლე ცარიელ ცაბაცაძე და როგორ ზარალდება ბიზნესი სასამართლოს უუნარობის გამო

ქაოსი უძრავი ქონების ბაზარზე

ოქტომბერში რეგისტრირებული 3486 დანაშაულიდან 1565 გახსნილია

საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყება მოიცავს საქართველოში არსებულ იმ სამინისტროების სტრუქტურაში შემავალ დანაყოფებს, რომლებიც თავიანთი ქვემდებარეობის მიხედვით აწარმოებენ გამოძიებას სისხლის სამართლის საქმეებზე, კერძოდ: საქართველოს მთავარი პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მონაცემების მიხედვით, 2015 წლის ოქტომბერში ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულია 3486 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1565 (44.89%). წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული მატებაა +0.72% (25 ერთეულით).

შსს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით, 2015 წლის ოქტომბერში, შსს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 2237 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1358 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 60.71%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -2.01%.

საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მონაცემებით, 2015 წლის იანვარ-ოქტომბერში, ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებული 29500 დანაშაულისგან, გაიხსნა 17211 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 58.34%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -3.89%.

შსს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით, 2015 წლის იანვარ-ოქტომბერში, შსს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 20918 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 14136 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 67.58%. ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა -5.29%.

„ვერსიანიუსი“

2014 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელმა 29 150,5 მლნ ლარი შეადგინა

2014 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებელმა დაზუსტებული მონაცემებით, მიმდინარე ფასებში 29 150,5 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 8,6%-ით აღემატება.

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2014 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, მშპ-ის რეალური ზრდა წინა წელთან შედარებით 4,6 %-ით განისაზღვრა, ხოლო დეფლატორი 3,8%-ით გაიზარდა.

საქსტატის ცნობით, მშპ-ს დარგობრივ სტრუქტურაში უდიდესი წილი ვაჭრობის (17,5%) და მრეწველობის (16,9%) სექტორებს უკავია. შემდეგ პოზიციებზეა — ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (10,4%), სახელმწიფო მმართველობა (9,9%), სოფლის მეურნეობა (9,3%), მშენებლობა (7,1%), ჯანდაცვა და სოციალური დახმარება (6,0%).

ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სექტორებში — მშენებლობა (13,1%), საფინანსო საქმიანობა (9,9%), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (8,1%), სასტუმროები და რესტორნები (7,3%), ვაჭრობა (5,8%), ტრანსპორტი (5,8%).

კლება აღინიშნა ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილებაში (2,4%).

„ინტერპრესნიუსი“

პარლამენტის წევრები სლოვაკეთში იმყოფებიან

გაერო-ს განვითარების პროგრამის საპარლამენტო პროექტის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ეკა ბესელია, კომიტეტის წევრები რუსლან პოღოსიანი, ფატი ხალვაში და გიორგი ხაჩიძე ასევე, კომიტეტის აპარატის წარმომადგენლები, სლოვაკეთში იმყოფებიან.

პარლამენტის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში პირველი შეხვედრა სლოვეაკეთის ომბუდსმენთან გაიმართა. ეკა ბესელიამ და ვლასტა ნუსდორფერმა საუბრისას, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის, ასევე სლოვენიის ომბუდსმენის აპარატის მუშაობის შედეგები გააცნეს ერთმანეთს.

მხარეებმა ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს და საქართველოსა და სლოვაკეთში იდენტური პრობლემებისა და გამოწვევების დეტალებზე ისაუბრეს. ომბუდსმენის ოფისში შეხვედრა ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა.

„ინტერპრესნიუსი“

19 ნოემბერს საპროკურორო საბჭო მთავარი პროკურორობის კანდიდატს შეარჩევს

არჩევნებზე დაკვირვების მსურველთა რეგისტრაცია 17 ნოემბრიდან დაიწყო და 19 ნოემბრის 10:00 საათამდე გაგრძელდება. არჩევნები იუსტიციის სამინისტროში გაიმართება.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, 18 ნოემბერს იუსტიციის მინისტრი იმ სამი კანდიდატის ვინაობას გაასაჯაროებს, რომლებსაც საპროკურორო საბჭოს წარუდგენს. იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილი სამი კანდიდატიდან ერთს საბჭოს წევრები ფარული კენჭისყრით ხმათა 2/3-ით დაამტკიცებენ. მთავარი პროკურორობის კანდიდატის არჩევის პროცედურა ღიაა და მასზე დასწრება შეუძლიათ არასამთავრობო ორგანიზაციების, აკადემიური და საექსპერტო წრეების წარმომადგენლებს.

„ინტერპრესნიუსი“

საქართველოს იოჰანეს ჰანი ეწვევა

გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარი იოჰანეს ჰანი საქართველოს ეწვევა. როგორც ჰანმა განაცხადა, ვიზიტი უახლოეს მომავალში გაიმართება, რათა საკუთარი თვალით ნახოს მიღწეული შედეგები. მისივე თქმით, თვალსაჩინოა საქართველოს მიერ მიღწეული შედეგები რეფორმირების გზაზე: **„ჩვენ ვაღიარებთ საქართველოს მონდომებას და მიღწევებს. საქართველომ გაატარა რეფორმები, რათა დაუახლოვდეს ევროპულ სტანდარტებს. ასოცირების საბჭომ ხაზი გაუსვა თუ რამხელა მხარდაჭერა აქვს საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების თვალსაზრისით“.**

„ინტერპრენიუსი“

შსს-მ ნარკოტიკული საშუალებები და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1971 წელს დაბადებული ლაშა კ. ნარკოდანაშაულის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას 20,60612 გრ ჰეროინის შემცველი ნივთიერება, 11 აბი „მეტადონი“ და 0,2224 გრ ნივთიერება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს შეიცავს. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვისა ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-2 ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1974 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ალექსანდრე წ. თბილისში, ლვოვის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ალექსანდრე წ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, „ბრაუნინგის“ ტიპის არარეგისტრირებული პისტოლეტი, „ჩე-ზე“-ს ტიპის არარეგისტრირებული პისტოლეტი, „ვალტერის“ ტიპის არარეგისტრირებული პისტოლეტი, 3 მჭიდი და 22 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ ჯგუფურად ჩადენილი ქურდობების ბრალდებით ოთხი პირი დააკავა

შსს-ს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული შაჰინ ბ, 1992 წელს დაბადებული სირხან ა, 1994 წელს დაბადებული ნურბაბა ხ, და 1995 წელს დაბადებული თაჯირ ჯ. ჯგუფურად ჩადენილი ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ სირხან ა-მ, ნურბაბა ხ-მ, და თაჯირ ჯ-მ საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში, „ლიბერთი ბანკის“ სერვისცენტრში ღამით ფანჯრიდან ფარულად შეაღწიეს, სეიფი, პლასტიკური აგრობარათები მოიპარეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. ასევე დადგინდა, რომ ოთხივე ბრალდებულმა, საგარეჯოს რაიონის სოფელ უდაბნოში, ფერმიდან 17 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი მოიპარა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებულები დანაშაულების ჩადენიდან რამდენიმე დღეში საგარეჯოს რაიონის სოფელ უდაბნოსა და სოფელ ლამბალოში დააკავეს. მოპარული სეიფი სოფელ ლამბალოში წყლის არხიდან, ხოლო ნურბაბა ხ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას საბანკო პლასტიკური აგრობარათები ნივთმტკიცებად ამოიღეს. სირხან ა-ს სახლის ჩხრეკისას ამოღებულია არარეგისტრირებული, ორლულიანი გადაჭრილი სანადირო თოფი და 8 საბრძოლო ვაზნა, ხოლო შაჰინ ბ-ს პირადი ჩხრეკისას – არარეგისტრირებული პისტოლეტი 1 მჭიდით და 7 საბრძოლო ვაზნით. სამართალდამცველებმა გაყიდულ 5 სულ პირუტყვს სოფელ ლამბალოში მიაკვლიეს და პატრონებს დაუბრუნეს. დაკავებულები აღიარებენ ჩადენილ დანაშაულებს.

გამოძიება ოთხივე დაკავებულის მიმართ ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს (პირველ ეპიზოდზე – საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, მეორე ეპიზოდზე – სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით).

სირხან ა-ს მიმართ გამოძიება ასევე მიმდინარებს ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის, ხოლო შაჰინ ბ-ს მიმართ — ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტზე (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით); თაჯირ ჯ-ს მიმართ გამოძიება — ერთ ეპიზოდში დანაშაულის დაფარვის ფაქტზე, ხოლო მეორე ეპიზოდში კი ქურდობის ჩადენაში დახმარების ბრალდებით მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 375-ე და სსკ-ს 24-177-ე მუხლებით).

„ვერსიანიუსი“

ლევან იზორია: „საქართველო ტერორიზმის მაღალი რისკის კატეგორიის ქვეყნებში არ გადის“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელმა 18 ნოემბერს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს სხდომა ჩანიშნა. როგორც მედიისთვის ხდება ცნობილი, უახლოეს დღეებში უშიშროების საბჭოს სხდომაც ჩატარდება და ქვეყნის პირველი პირები საქართველოში, უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებულ ვითარებას გაეცნობიან. თუმცა ფაქტია, მხოლოდ ვითარების გაცნობა საკმარისი არ არის, მით უმეტეს, როცა „ხალიფატის“ შემდეგი თუ არა, ერთ-ერთი მომდევნო სამიზნე საქართველოც შეიძლება აღმოჩნდეს.

საქართველოს მისამართით რადიკალი მუსლიმების მუქარა არახალია. ერთ-ერთი ბოლო ვიდეომიმართვა, პარიზის მოვლენებამდე ბევრად ადრე, 2015 წლის იანვრის პირველ რიცხვებში 27 წლის აჭარელმა, თამაზ, იგივე აჰმედ ჭაღალიძემ გაავრცელა. მანამდე ის პოლიტიკურ საქმიანობასაც ეწეოდა და ერთ-ერთი პარტიის აქტივისტად ითვლებოდა, შემდეგ კი სირიაში საბრძოლო მოქმედებებში ჩაება და Facebook-ის საშუალებით საქართველოში მცხოვრებ ქრისტიანებს, სამღვდელოებასა და პატრიარქს ღიად დაემუქრა. რამდენიმე დღის წინ კი, სწორედ პარიზის ტრაგედიის კონტექსტში, ყოფილ სამშობლოს ამჯერად მურმან პაიჭაძე, იგივე აბუ ასია ალ-ჯუეჯი დაემუქრა და მუქარის წერილში იკითხა, მუსლიმების წინააღმდეგ ბრძოლას რატომ არ წყვეტთ და თქვენი სამხედროები ჩვენი ქვეყნებიდან რატომ არ გაგყავთო. იცოდეთ, მალე მუსლიმებისგან პასუხს უნდა ელოდეთ, რომელიც ძალზე მკაცრი იქნება და ალაჰის კანონები საქართველოშიც დამკვიდრდებაო, დასძენს მურმან პაიჭაძე. როცა სულ უფრო და უფრო ხშირად ვიღებთ მსგავს მუქარას ადამიანებისგან, რომელმაც მოტივის მიუხედავად, სამშობლო დატოვეს და თავს ჯიჰადის წევრად მიიჩნევენ, საინტერესოა, რამდენად რეალურია ეს მუქარაი საქართველოს მიმართ, ვინ არიან ეს ადამიანები და რა საფრთხის წინაშე შეუძლიათ დაგვაყენონ. სწორედ ამ საკითხზე ისაუბრა მედიასაშუალებებთან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილემ, **ლევან იზორიამ** და განაცხადა, რომ სახელმწიფო სერიოზულად სწავლობს ყველა იმ მუქარას, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ვრცელდება: **„ყველა მუქარას სერიოზულად აღვიქვამთ, რომელიც საჯაროდ ჟღერდება ტერორისტებისგან და კონკრეტულად საქართველოს, უკავშირდება. მიდგომა დიფერენცირებული არ არის, შესაბამისად, რისკებისა და საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, ფაქტობრივად, ყველა მიმართულებით მობილიზებულნი ვართ. საქართველო ტერორიზმის მაღალი რისკის კატეგორიის ქვეყნებში არ შედის. ტერორისტების სამიზნე კი ძირითადად, ის ქვეყნებია, რომლებიც ე.წ. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ უშუალოდ ომობენ. თუმცა ეს ჩვენს უწყებას მოდუნების უფლებას არ აძლევს, რადგან სახელმწიფო უსაფრთხოებაზე ვართ პასუხისმგებელი. რაც შეეხება თამაზ ჭაღალიძის მიერ გავრცელებულ მუქარის შემცველ ინფორმაციას, ამ თემაზე გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 12 იანვარს დაიწყო, მურმან პაიჭაძის მიმართვაზე კი — რამდენიმე დღის წინ“.** მისი თქმით, ეს ვიდეორგოლები სერიოზული მუშაობისა და რეაგირების საფუძველს იძლევა, მაგრამ არა პანიკის. სწორედ ამ კონტექსტში, იზორიამ ე.წ. ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირის ბრალდებით ბორჩაშვილის დაკავება გაიხსენა და განაცხადა, რომ ამ საქმეზე სასამართლო სხდომა 19 ნოემბერს გაიმართება. უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილემ კიდევ ერთხელ გაიხსენა პოპულარული კანონი „მოსმენების“ შესახებ და განაცხადა, რომ მსგავსი საფრთხეების პრევენციისთვის შესაბამის სამსახურებს ინფორმაციის მიღების ყველა ოპერატიულ-ტექნიკური საშუალება უნდა ჰქონდეს.

ლევან იზორია ამ დღეებში გავრცელებულ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ფოტოსა და კითხვასაც გამოეხმაურა. საქმე ეხება სოციალურ ქსელში გავრცელებულ ერთ-ერთ ფოტოს, რომელზეც, თითქოს, ტერორისტული ორგანიზაცია „ჰეზბოლას“ საველე მეთაური, საიად ალ ბაჰადია გადაღებული თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე „მაკდონალდსთან“. იზორიამ „ჰეზბოლას“ ერთ-ერთი ლიდერის თბილისში ყოფნა არ დაადასტურა, სამაგიეროდ, დასძინა, რომ შესაძლოა, სუს-მა რამდენიმე ეჭვმიტანილი დააკავოს. ბოლო დროს, ფოტოების გარდა, ინტერნეტის საძიებო სისტემაში არაერთ პროპაგანდისტულ საიტსაც გადაეყრებით, რომლებიც „მუსლიმთა სამყაროს“ აშენება-დამშვენების დამადასტურებელ ფოტოებს აპიარებენ, მათ შორის, ქართულ ენაზეც და მოწოდებებითა და მიმართვებითაა სავსე. იზორიამ დაადასტურა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, ამ ვებგვერდებმა რამდენიმე ეჭვმიტანილის დაკავებაში სუს-ს სამსახურიც კი გაუწიოს: **„ქართულ ენაზე ISIS-ის პროპაგანდისტული არაერთი გვერდი არსებობს, რაზეც გამოძიება მიმდინარეობს.**

ოპერატიული ინფორმაციის შეგროვების მიზნით, ასეთი ვებ-გვერდების არსებობა გარკვეული დროის განმავლობაში მიზანშეწონილიც იყო, თუმცა მათი აკრძალვის მოთხოვნით, უახლოეს მომავალში, სასამართლოს მივმართავთ. ვატარებთ ოპერატიულ ღონისძიებებს, მათ შორის, ვადგენთ აქტიური მომხმარებლების ვინაობას. უკვე გვაქვს საფუძველი, გარკვეულ პიროვნებებზე სამართლებირივი დევნა დავიწყოთ. რაც შეეხება „ჰეზბოლას“ ერთ-ერთი ლიდერის დედაქალაქში ყოფნას, ასეთი პიროვნების მიერ საქართველოს საზღვრის კვეთის ფაქტი არ დაფიქსირებულა. პოტენციურ და აქტიურ ტერორისტებზე ინფორმაციას ინტენსიურად ვცვლით ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან. ასეთი პიროვნების სახელი და გვარი არც მათ მიერ მოწოდებულ სიაში ფიგურირებს. იგი არც გაყალბებული დოკუმენტაციით შემოსულა ქვეყანაში, შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს ნამდვილად არ შეესაბამება“. მეტიც, იზორიამ ინფორმაციის ეფექტურად გაცვლის თვალსაზრისით ქართულ-აზერბაიჯანულ თანამშრომლობაზეც ისაუბრა. როგორც უშიშროების უწყების მეორე პირმა მედიასთან საუბრისას აღნიშნა,

ქართული მხარის ინფორმაციის საფუძველზე, აზერბაიჯანმა საკუთარი მოქალაქე დააკავა, რომელიც საბრძოლველად სირიაში გადასვლასა და ISIS-ის რიგებში გაწევრიანებას ცდილობდა. როგორც გაირკვა, ეს შემთხვევა 15 ნოემბერს მოხდა, აზერბაიჯანის მოქალაქე კი უკანონოდ ცდილობდა ჩვენი ქვეყნის საზღვრის გადმოკვეთას, რათა შემდეგ სირიაში წასულიყო. აზერბაიჯანულმა მხარემ ეს პირი დროულად დააკავა, იზორიამ კი დასძინა, რომ შესაბამისმა სამსახურებმა საქართველოში ათობით ადამიანის შემოსვლა აღკვეთეს, მათ შორის, აფრიკული და არაბული ქვეყნებიდან, რომლებიც ტრანზიტულად ცდილობდნენ საქართველოდან თურქეთში, თურქეთიდან კი სირიაში გადასვლას: **„ამ შემთხვევაში, ვხელმძღვანელობთ დაახლოებით 1000-კაციანი სიით, რომელსაც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები გვაწვდიან. მათ შორის, საუბარია არა მხოლოდ აქტიურ, არამედ პოტენციურ ტერორისტებზეც“,** — განაცხადა ლევან იზორიამ.

ქართველები ტერორისტების სიაში ფიგურირებენ

რას წერს ავსტრიული პრესა საფრანგეთში „სისხლიანი პარასკევის“ შემდეგ

ლევან ხვედელიძე
„ვერსიისთვის“ ავსტრიიდან

ქართველებს აქამდე ევროპაში კრიმინალებად ხშირად მოგვიხსენიებდნენ, ამიერიდან კი, სირიაში წასული პანკისელების წყალობით, ტერორისტთა სიაშიც ვფიგურირებთ. პირველი და მეორე ჩეჩნური ომის მერე, ჩეჩნები, რომლებიც უკანონოდ გადმოდიოდნენ საქართველოს საზღვრებზე და ასევე უკანონოდ დასახლდნენ საქართველოში, დღეს ამ ფორმით გვიხდიან მადლობას. თავად ვმსახურობდი თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში 1995-1997 წლებში. ბევრი რამ შემიძლია გავიხსენო ჩეჩნებთან დაკავშირებით, მაგრამ ამ ერთ ამბავს მოგიყვებით და ვთხოვ, დაღესტნელებსა და ჩეჩნებს ჩვენ ჰუმანურობას ბოროტად ნუ გამოიყენებენ. არც აჭარის მუსლიმებს უნდა დაავიწყდეთ, რომ ქართველები არიან და მათი წინაპრები მართლმადიდებლები იყვნენ. მოკლედ, ჩვენი ბატალიონი საზღვარზე იდგა, რომ შეიარაღებული ბოევიკები არ შემოსულიყვნენ, მაგრამ მათ ქალებს, ბავშვებს და მოხუცებს ვატარებდით. ისინი შველას ითხოვდნენ, ჩვენ კი, ჯარისკაცები, სურსათს, მედიკამენტებს, სხვა სახის დახმარებას აღმოვუჩენდით ხოლმე. ალბათ ავიწყდებათ, საქართველოს ღვაწლი რამხელაა, რომ დღეს ისინი თბილად და მშვიდად ცხოვრობენ. კარგათ მახსოვს, მეორე ჩეჩნური ომის დროს, პუტინი ყველა იმ ქვეყანას საჰაერო იერიშით დაემუქრა, ვინც თავშესაფარს მისცემდა ჩეჩნებს. არც ერთმა ქვეყანამ არ გაუხსნა მათ დევნილებს საზღვარი. საქართველომ კი, შევარდნაძის მთავრობისა და ქართველი ხალხის გადაწყვეტილებით, პირველმა მიიღო ჩეჩენი დევნილები, რასაც პუტინის პირობის შესრულებაც მოყვა — საჰაერო დაბომბვა, რომლებსაც ჩვენი მოქალაქეები შეეწირნენ — ჩვენი ჯარისკაცები და ქართველი მწყემსიც... ჩეჩენ დევნილებს, ევროპის 6-მა ქვეყანამ მხოლოდ მას შემდეგ გაუხსნა საზღვარი, რაც საქართველო არ შეუშინდა პუტინის ჭურვებს და მუქარას. იმედია, ამის საზღაური საქართველოსათვის უმძიმესი, დასანანი და დასაფიქრებელი არ იქნება.

"Wir sind verzweifelt, wenn wir sehen, wie täglich Tausende Menschen unkontrolliert in unser Land kommen. Unter die Syrer mischen sich militärisch ausgebildete Tschetschenen, Aserbaidschaner, Georgier, radikale Islamisten aus dem Irak und Afghanistan - das sind Gruppen, die uns Kriminalisten bereits jetzt am meisten

სიტყვა გამიგრძელდა. კვლავ, ტერორიზმსა და საფრანგეთში დატრიალებულ ტრაგედიას დავუბრუნდეთ. ვნახოთ, რას წერს ავსტრიული პრესას ჩვენზე და რა „მოსავალს“ იმკის საქართველო ჩეჩნების დახმარებისთვის.

ავსტრიის ახალგაზრდა საგარეო საქმეთა მინისტრის, **სებასტიან კურცის** განცხადება, დევნილების შესახებ, ამგვარად იწყება: **„ყველაფერი, კონტროლის გარდა. აფეთქება საკონცერტო დარბაზში, ბომბები ფეხბურთის ფანების წინააღმდეგ, ცივსისხლიანი მკვლელობები სავაჭრო ცენტრებში და კაფე-ბარებში... ტერორისტულმა ომმა შაბათს საღამოს შოკში დატოვა ყველა. ეს საშინელება ატარებს ტერორისტული დაჯგუფების ISIS ხელწერას და ეს უკვე დადასტურებულია. ჩვენ არ ვიცით ეს ომი ევროპელების წინააღმდეგ, სად გაგრძელდება: მარსელში, ბერლინსა თუ ვენაში? სიტუაცია, რა თქმა უნდა, კონტროლს არ ექვემდებარება“.**

სებასტიან კურცი, არაკონტროლირებად ვითარებაში იმასაც მოიაზრებს, რომ შესაძლოა ევროპის ქვეყნების საზღვრებს ასი ათასობით ლტოლვილი მიაწყდეს, რაც ევროპისთვის, ნამდვილად, მძიმე ტვირთი იქნება.

„ჩვენ ვართ დაბნეულები, როცა ვხედავთ, როგორ შემოდის ათასობით ადამიანი კონტროლის გარეშე ჩვენს ქვეყანაში. სირიელებთან ერთად არიან გაწვრთნილი ჩეჩნები, აზერბაიჯანელები, ქართველები, რადიკალი ისლამისტები ერაყიდან და ავღანეთიდან — ესაა დაჯგუფებები, რომლებიც ჩვენს ძირითად ყურადღებას იპყრობენ და მათზე დიდხანს მოგვიწევს მუშაობა“, — ეს განცხადება კი, კრიპოს (სისხლის სამართლის საგამოძიებო დეპარტამენტი) უფროსმა გაზეთ Krone Zeitung-ის ჟურნალისტთან გააკეთა.

დიახ, როგორც ჩანს სებასტიან კურცი მართალია: სიტუაცია მართლაც არაკონტროლირებადია. აქ ებრძვიან შეუიარაღებელ ადამიანებს და მშვიდობიან მოსახლეობას, მათ შორის ბავშვებს და ქალებს, აგრეთვე ევროპულ ფასეულობებს. ვინც დიდხანს ჩარგავს თავს სილაში, პოლიტიკიდან უნდა წავიდეს. ევროპის მმართველებად, საჭიროა ისეთი ადამიანები, რომლებიც საქმეს გააკეთებენ და საფრთხის არსებობისას, არ წაუყრუებენ, რადგან პარიზის სისხლიანმა ღამემ კიდევ ერთხელ, ოფიციალურად აჩვენა, როგორი მომაკვდინებელია საშიშროების იგნორირება.

აშშ საქართველოში ბოლო დროს განხორციელებულ რეფორმებს დადებითად აფასებს და რეგიონში საქართველოს უპირატესობას აღიარებს

ბათო ჯაფარიძე

აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის დემოკრატიისა და მმართველობის სამუშაო ჯგუფმა რეგიონში საქართველოს მონინავე პოზიცია აღიარა

საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიცია მუდმივად იმაზე აპელირებს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობის განმტკიცებისთვის არაფერს აკეთებენ და საქართველო, რომელიც რეგიონში მოწინავე იყო, თურმე ახლა ბოლო რიგებშია. არადა, რეალობა სხვაგვარია და ამის დასტურად 12 ნოემბერს, ვაშინგტონში, აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის დემოკრატიისა და მმართველობის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გამოდგება. მხარეები, პრაქტიკულად, ყველა საკითხს შეეხნენ და შემდეგ ერთობლივი განცხადებაც გაავრცელეს, სადაც საქართველოს მიღწევები ხაზგასმულია და ერთ-ერთ მთავარ მიღწევად სწორედ რეგიონში პირველობა სახელდება.

„სამუშაო ჯგუფმა აღიარა საქართველოს მიერ გაწეული ძალისხმევა ისეთი ინკლუზიური საზოგადოების შექმნის მიმართულებით, სადაც დაცულია ყველა ადამიანის, მათ შორის, უმცირესობათა წარმომადგენლების უფლება, რეგიონში საქართველოს მოწინავე პოზიცია ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაძლიერებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობის თვალსაზრისით და მისი ძალისხმევა, ებრძოლოს ადამიანებით უკანონო ვაჭრობას“, — ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში.

შეხვედრა ვაშინგტონში საქართველოს ვიცე-პრემიერის, საგარეო საქმეთა მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის ვიზიტის ფარგლებში შედგა და მას ამერიკის მხრიდან სახელმწიფო მდივნის მოადგილე ენტონი ბლინკენი და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულანდი მასპინძლობდნენ. შეხვედრის დროს, მხარეებმა დაადასტურეს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატებისთვის სამართლიანი, თანასწორი და კონკურენტული საარჩევნო გარემოს, ასევე პოლიტიკური, მედია და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის ღია, პლურალისტური და დამოუკიდებელი სივრცის მნიშვნელობა. ამასთან ერთად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დადებითად შეაფასა „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები, რაც იძლევა შესაძლებლობას, სააპელაციო პროცედურები გაგრძელდეს და საქართველოში მედიაპლურალიზმი შენარჩუნდეს.

„ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეაქო საქართველო სასამართლო სისტემაში, გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმებისთვის და იმედი გამოთქვა, რომ ეს ძალისხმევა გაგრძელდება და უფრო ღრმად და ფართოდ აისახება როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოიწონა საქართველოს განზრახვა წინასასამართლო პრობაციის სამსახურის შექმნის შესახებ და მოელის, რომ იგი სწრაფად განხორციელდება. ორივე მხარემ აღნიშნა საქართველოს წარმატებები სამართალდამცავი და უშიშროების სამსახურების, ადმინისტრაციული და წინასწარი პატიმრობის და სასჯელაღსრულებითი სისტემის რეფორმებში. მხარეებმა დაადასტურეს, რომ ზემოაღნიშნული და სხვა რეფორმების განხორციელება მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის, კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს დემოკრატიას და ხელს უწყობს საქართველოს თავისი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიზნების მიღწევაში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს აღუთქვა, რომ განაგრძობს აღნიშნული მიზნების მიღწევაში მის მხარდაჭერასა და დახმარებას“, — ნათქვამია განცხადებაში.

სხვათა შორის, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის დახვეწაზე აქცენტი წლებია კეთდება, თუმცა მხოლოდ დღევანდელმა ხელისუფლებამ მოახერხა, რომ საჯარო სამსახურის შესახებ კანონი შეცვალა და იმ სახით მიიღო, რომელიც არამარტო ევროპას, არამედ ამერიკასაც მოეწონა. კანონპროექტში ჩადებული იყო, რომ მას საჯარო სამსახურის დამოუკიდებლობის გაძლიერებისთვის უნდა შეეწყო ხელი და ეს ერთობლივ განცხადებაშიც ჩაიწერა: **„ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეაქო საქართველოს ძალისხმევა, რომელიც მიმართულია გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისკენ, და ამასთან, მხარეებმა დაადასტურეს, რომ მნიშვნელოვანია გაგრძელდეს პროგრესი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამერიკის შეერთებული შტატები მიესალმა საქართველოს მიერ ბოლო პერიოდში მიღებულ კანონს, რომელმაც საჯარო სამსახურის დამოუკიდებლობის გაძლიერებას შეუწყო ხელი“.**

საქართველოს დელეგაციას, რომლის შემადგენლობაშიც სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები შედიოდნენ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ ჯანელიძე და იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე თანათავმჯდომარეობდნენ. აშშ-ს დელეგაციას კი — ევროპისა და ევრაზიის საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე ბრიჯიტ ბრინკი, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ადმინისტრატორის თანაშემწის მოადგილე ჯონათან კაცი და ევრაზიის საკითხებში აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის რეგიონული ხელმძღვანელი კეთრინ ნიუკომბი ხელმძღვანელობდნენ. აშშ-ს დელეგაციაში იყვნენ სხვადასხვა სამთავრობო უწყების წარმომადგენლები.

ირაკლი სესიაშვილი: „პრევენციული ზომები უნდა გავატაროთ, გარკვეული ჯგუფებისა და ადამიანების საზღვარზე გასვლა-შემოსვლის გასაკონტროლებლად“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

რა გამოწვევის წინაშე დგას საქართველო საფრანგეთის „სისხლიანი პარასკევის“ შემდეგ და როგორ აპირებს ხელისუფლება ტერორიზმთან ბრძოლას

სისხლიანი ტერაქტების გამო, პარიზი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში უკვე მეორედ აღმოჩნდა. სამდღიანი გლოვის პარალელურად, საფრანგეთმა სირიის ქალაქ რაყაში ჯერ ტერორისტები გაანადგურა, მეორე დღეს კი ქალაქზე ახალი იერიშები მიიტანა. დაიბომბა ე.წ. ისლამური სახელმწიფოს სამეთაურო პუნქტი, საწვრთნელი ბანაკი და საველე პოზიციები. საფრანგეთი კი სირიაში სამხედრო ოპერაციას პარიზის ტერაქტების მიუხედავად მაინც გააგრძელებს. ამასობაში, ვაშინგტონში ტერაქტების სერიის დაწყებით იმუქრებიან „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენლები: „ყველა ქვეყანა, რომელიც ჯვაროსნულ კამპანიაში მონაწილეობს, საფრანგეთის ბედს გაიზიარებს. ვფიცავთ, ამერიკას ცენტრში, ვაშინგტონში დავარტყამთ — გვინდა, ვუთხრათ ევროპელებს, ჩვენ მოვდივართ“, — აცხადებენ ტერორისტები ვიდეომიმართვაში.

გავრცელდა ინფორმაციაც, რომ „ვილაიეთს“ კიდევ ერთი თავდასხმის ობიექტი, „გურჯისტანი“, ანუ საქართველოც მონიშნული აქვს. ევროპულ, კერძოდ კი ერთ-ერთ ავსტრიულ გამოცემაში, „კრონე ცაიტუნგში“ კი შოკისმომგვრელი სტატია დაიბეჭდა, რომლის მიხედვით, საქართველო სირიასთან, ჩეჩნეთთან, აზერბაიჯანსა და ერაყთან ერთადაა მოხსენიებული, როგორც „გაწვრთნილი ტერორისტების“ სამშობლო. ცალკეული ჟურნალისტებისა თუ ევროპელი ჩინოვნიკების განცხადებებს ბრმად, ცხადია, ვერ დავეყრდნობით, მით უმეტეს, საპირისპიროს მოწმობს ჩვენი ქვეყნის რეიტინგი მსოფლიოს უსაფრთხო ქვეყნების სიაში, თუმცა ფაქტია, განცხადება არასასიამოვნოა. ისევე, როგორც სოციალურ ქსელებში გავრცელებული ფოტოები, როგორ დასეირნობენ სხვადახვა ექსტრემისტული დაჯგუფებების წევრები, მაგალითად, თბილისის ქუჩებში. სწორედ ამ ეჭვების გასაქარწყლებლად და ბოლო, სისხლიანი მოვლენებისას გაჩენილ კითხვებზე საპასუხოდ, შევეცადეთ, გაგვერკვია, რა ღონისძიებებს მიმართავენ ჩვენი ქვეყნის შესაბამისი სამსახურები და რა დოზით შეეხება საქართველოს ტერაქტების ეს სერია ევროპის წინააღმდეგ. „ვერსია“ პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მყოფი უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს, ირინა იმერლიშვილსაც დაუკავშირდა და პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილსაც. კონსტიტუციაში 2012 წელს ამოქმედებული ცვლილების თანახმად, დღეს უშიშროების საბჭო მსგავს გამოწვევებსა და საფრთხეებზე პასუხისმგებელი მთავარი ორგანო არ არის, ვინაიდან უშუალოდ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და ჯარის მშენებლობის საკითხები ეხება. თუმცა, როგორც გაირკვა, უახლოეს მომავალში, უფრო ზუსტად, მიმდინარე თვეში, უშიშროების საბჭო მორიგ სხდომას გამართავს. როგორც მასმედიასთან უწყების წარმომადგენლებმა განმარტეს, სხდომის სრული დღის წესრიგი მოგვიანებით დაზუსტდება, თუმცა განხილვის ერთ-ერთი თემა არსებული საფრთხეების პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებებიც იქნება. თავის მხრივ, პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა პარიზში მომხდარ ტერორისტულ აქტებზე საჯაროდაც არაერთი განცხადება გააკეთა და თბილისის საკრებულოს ფოიეში განთავსებულ სამძიმრის სპეციალურ წიგნში, რომელიც ფრანგი ხალხის თანაგრძნობისთვის გაიხსნა, სამძიმარი ჩაწერა. მისი თქმით, „ისლამური სახელმწიფო“ ერთი დიდი ტყუილია, ვინაიდან მას არც სახელმწიფოსთან აქვს კავშირი და არც ისლამთან. მისი შეფასებით, ეს ტერორისტული წარმონაქმნია, რომელიც არსებობას ისე დაასრულებს, როგორც ტერორისტები ასრულებენ. ავსტრიულ პრესაში გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტარი „ვერსიისთვის“ **ირაკლი სესიაშვილმაც** გააკეთა და განაცხადა, რომ საქართველოს მოსახლეობას პანიკის საფუძველი არ აქვს, რადგან დღის წესრიგში არც სირიელი დევნილების მიღება-არმიღების საკითხი დგას, არც პირდაპირი საფრთხის ქვეშ ვართ და ყველა რეალურ ინფორმაციაზე უშიშროების საბჭოცა და უსაფრთხოების სამსახურიც აქტიურად იმუშავებენ: **„პანიკაში ნამდვილად არ უნდა ჩავცვივდეთ, თუმცა ცხადია, ქვეყანამ ყველა ღონე უნდა იხმაროს და პრევენციული ზომები გაატაროს, გარკვეული ჯგუფების შემოსვლა-გასვლის გასაკონტროლებლად საზღვარზე. ბელგიაში მყოფმა პრემიერ-მინისტრმა უსაფრთხოების საბჭოს სხდომა მოიწვია, რადგან სურს, ქვეყანაში დაბრუნებისთანავე, არსებულ ვითარებას საფუძვლიანად გაეცნოს. ის მოისმენს ინფორმაციას უსაფრთხოების სამსახურებისგან და ალბათ, გარკვეულ დავალებებსაც გასცემს, რა მიმართულებით უნდა გაძლიერდეს ჩვენი მუშაობა. ხოლო უშიშროების საბჭო სათათბირო ორგანოა, თუმცა კანონის მიხედვით, მას გადაწყვეტილების მიღების უფლება არ აქვს. უსაფრთხოების საბჭოს სხდომას კი, რომელსაც პრემიერი ატარებს, ქალბატონი ირინა იმერლიშვილიც დაესწრება, როგორც პრეზიდენტის წარმომადგენელი, რადგან ის ამ საბჭოს წევრია. ახლა, რაც შეეხება გაურკვეველ ინფორმაციას, რომელსაც კონკრეტული გამოცემა თუ ჟურნალისტი ავრცელებს საქართველოს შესახებ — ეს რეალობასაა აცდენილი და სიმართლეს არ შეესაბამება. ჯერ ერთი, შეუძლებელია, საქართველო სირიას შეადარო. გარდა ამისა, გაცილებით მეტად ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებს უნდა ვენდოთ, სადაც საქართველო ერთ-ერთ გამორჩეულ პარტნიორადაა მოხსენიებული ტერორიზმთან ბრძოლაში. მეტიც, მსოფლიო რეიტინგების მიხედვით, ჩვენ ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო ქვეყნად ვართ აღიარებული და როგორ შეიძლება, პარალელურად, ტერორისტი ქვეყნების ხუთეულშიც შევდიოდეთ? რაც შეეხება სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ინფორმაციებს, ფოტოებს და ა.შ. ისინი შესაბამისი სამსახურების მიერ გადამოწმდება, თუმცა არ მგონია, რომელიმე მათგანის რეალურობა დადასტურდეს“.**

გაუქმდება თუ არა სავალდებულო სამხედრო სამსახური

რატომ უჭერენ მხარს ექსნაციონალების იდეას რესპუბლიკელები და რა შედეგებს მოუტანს ქვეყანას სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმება

ნინო კომახიძე
599-95-33-16

წვევამდელების გაწვევის ახალი, 2016 წლის გეგმა უკვე დამტკიცებულია, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო, ჯარში ახალგაზრდებს კვლავ საკუთარი ნების გარეშე გაიწვევს. შესაბამისად, აქტუალური ხდება იდეა, სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმების შესახებ და მას უკვე კანონპროექტის სახეც აქვს. კანონში შესატან ცვლილებათა პაკეტი ნაციონალების ყოფილ გენერალურ მდივანს, ამჟამად, პარტია „გირჩის“ ლიდერ ზურაბ ჯაფარიძეს ეკუთვნის. კანონპროექტი უკვე რამდენიმე, მათ შორის, ჯანდაცვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტებშიც განიხილეს. თუმცა დიმიტრი ხუნდაძემ და თამაზ მეჭიაურმა ინიციატივას მხარი არ დაუჭირეს. სამაგიეროდ, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა საკითხის პლენარულ სხდომაზე გატანას მისცა ხმა და ჯაფარიძის იდეა პირველი მოსმენით გავიდა. იდეამ რესპუბლიკელების მხარდაჭერაც დაიმსახურა და თავდაცვის მინისტრისაც.

საკანონმდებლო პაკეტი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ კანონში ცვლილების შეტანას ითვალისწინებს და მას რამდენიმე თანმდევი კანონპროექტი ახლავს. გარდა წარმოდგენილი პაკეტისა, ჯაფარიძე და კომიტეტის თავმჯდომარე, ვახტანგ ხმალაძე იმაზეც შეთანხმდნენ, რომ ამ პაკეტს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტიც უნდა დაემატოს. ჯაფარიძემ კომიტეტის კიდევ ერთი შენიშვნა გაითვალისწინა, რომლის მიხედვით, შესაძლოა, კანონის ამოქმედების ვადა შეიცვალოს და სრულ პროფესიულ სამსახურზე ეტაპობრივი გადასვლის განსაზღვრა გახდეს საჭირო. ჯაფარიძის ინიციატივის მთავარი არსი ისაა, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური უნდა გაუქმდეს. სანაცვლოდ, იგი ნებაყოფლობითი რეზერვის სისტემის შექმნას გვთავაზობს, სადაც, ბუნებრივია, მომსახურეთა რიცხვი ბევრად დაბალი, ანაზღაურება კი მაღალი უნდა იყოს. კანონპროექტის მიხედვით, სავალდებულო სამსახურის მოხდა სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, დაზვერვაში, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროებში უნდა გაუქმდეს. თუმცა რჩება მუხლი იმის შესახებ, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია, ქვეყანაში საომარი მდგომარეობის დროს სამხედრო სამსახური მოიხადოს. სავალდებულო რეზერვის იდეას ჯაფარიძე რამდენიმე თვის წინ ლობირებდა და მაშინ, მთავარ არგუმენტად ისმოდა, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი ნებით, ჯარში მსახურს არავინ მოისურვებს და ქვეყანა რეზერვის გარეშე დარჩებაო. ჯაფარიძემ მაშინ „ვერსიისთვის“ ასეთი განმარტება გააკეთა:

„არ შეიძლება, ქვეყანა თავის ახალგაზრდებს ისე ექცეოდეს, თითქოს საკუთარი ნება არ გააჩნიათ. ყოველწლიურად, რამდენიმე ათასი ახალგაზრდა არ უნდა მოხიკო და უფასო მუშახელად არ უნდა წაიყვანო. იანვარში გაცემული დადგენილებით, დაახლოებით 3 000 ადამიანია გაწვეული და აქედან სამხედრო სამსახურში მხოლოდ 500 მათგანი წაიყვანეს. დანარჩენები დაცვაში მუშაობენ და ეს არასამართლიანია. არ მაქვს ილუზია, ნატო-ს წევრი ქვეყანა თუ გავხდებით, საკუთარ თავდაცვას ყურადღება აღარ მივაქციოთ. უბრალოდ, უნდა შევქმნათ თავდაცვის სისტემა — პროფესიული არმია და ნებაყოფლობითი რეზერვი. სავალდებულო გაწვევა კი უბრალოდ, ფულის ფლანგვაა“. პარლამენტის უმრავლესობა ზურაბ ჯაფარიძის ინიციატივამ ორად გაყო. მეჭიაური და პარტია „ოცნების“ სხვა წარმომადგენლები ამ თემაზე უფრო ფართო მსჯელობას ემხრობიან. რესპუბლიკელები კი იდეას მხარს უჭერენ. ამას ისიც მოწმობს, რომ ერთადერთ კომიტეტს, რომელმაც კანონპროექტი არ დაბლოკა, სწორედ რესპუბლიკელი ხელმძღვანელობს. იდეას **ლევან ბერძენიშვილიც** ეხმაურება და ამბობს, რომ ქართულ ჯარში გაწვევა საპატიო უნდა იყოს, დღეს კი სავალდებულო რეზერვის პრინციპი ადამიანის უფლებებს ეწინააღმდეგება. **„ჯარი პროფესიული უნდა იყოს. ჯარისკაცობა ადამიანის მოწოდება უნდა იყოს და არა ვალდებულების მოხდა. ჯარი არ უნდა იქცეს სასჯელად და უპატრონოების თავშესაფრად, ეს საამაყო საქმიანობა უნდა იყოს. ასეთი კი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება, თუ სათანადოდ დაფასდება. ამას კანონები და პროფესიონალების მოწვევა სჭირდება, რაც ერთ დღეში ვერ მოხდება. ძლიერი არმია ვისაც ჰყავს, სწორედ ისე იქცევა, როგორც ახლა ჩვენ ვთავაზობთ საზოგადოებას“.** დაახლოებით ასეთი პოზიცია აქვს თავდაცვის მინისტრ **თინა ხიდაშელსაც,** თუმცა იგი სავალდებულო გაწვევის საერთოდ აკრძალვის მომხრე არაა და ფიქრობს, რომ ქვეყნის ვითარებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ, ეს შესაძლებლობა უნდა დაიტოვოს: **„მეც ვფიქრობ, რომ სავალდებულო გაწვევა ქვეყანაში არ უნდა იყოს, თუმცა არც ამის კანონით აკრძალვას ვემხრობი. წინააღმდეგი ვარ სავალდებულო გაწვევისა და მგონია, რომ კონტრაქტორებით დაკომპლექტებული ჯარი უფრო ძლიერია... ჯამში, ქართულ არმიაში, მხოლოდ 7-8 პროცენტია წვევამდელი, რაც იმას ადასტურებს, რომ ჯარი სავალდებულო რეზერვის გაუქმებისთვის მზადაა. მეტიც, ამისკენ ბოლო წლების განმავლობაში მივდიოდით. მაგალითად, მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა საშემოდგომო გაწვევის ახალი გეგმა, რომელიც სულ 1000 ჯარისკაცით შემოიფარგლა მაშინ, როცა მანამდე ეს რიცხვი გაცილებით დიდი იყო. ჩვენ ამ გზაზე ვდგავართ და ვიცავთ აღებულ ვალდებულებას, რომ 2016 წლის შემდეგ ასეთი ჯარისკაცები აღარ გვეყოლებიან“.**

სწორედ ეს იყო ზურაბ ჯაფარიძის ერთ-ერთი არგუმენტი, რომ სავალდებულო გაწვევის გაუქმების ვალდებულება საქართველოს პირდაპირ ნატო-ს წინაშე აქვს აღებული. სხვა საკითხია, არის თუ არა მზად სახელმწიფო, კონტრაქტორ ჯარისკაცებს ნორმალური ხელფასი გადაუხადოს და ადამიანებს ნებაყოფლობით რეზერვში სამსახურის ფინანსური მოტივაციაც შეუქმნას. თუმცა, სადაც ათასობით რეზერვისტს ვინახავდით, იქ არც გაცილებით ნაკლები, თუმცა ბევრად პროფესიონალი კონტრაქტორების შენახვა უნდა გაგვიჭირდეს. ამ თემაზე მსჯელობა მთავრობასაც დაწყებული აქვს, თუმცა ჯაფარიძის ინიციატივას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. ერთიც უნდა აღინიშნოს, უმრავლესობის დეპუტატები ყოფილი ნაციონალის კანონპროექტის მიმართ კრიტიკულად არ არიან განწყობილნი, რესპუბლიკური პარტია კი ამ იდეას პირდაპირ ლობირებს. ნიშნავს თუ არა ეს მათ პოლიტიკურ დამეგობრებას და რა არგუმენტები აქვს ჯაფარიძეს სავალდებულო რეზერვის წინააღმდეგ — „ვერსიის“ კითხვებს კანონპროექტის ავტორმა **ზურაბ ჯაფარიძემ** თავად უპასუხა:

— ჯერჯერობით, ინიციატივის სესიაზე გატანას მხარი მხოლოდ იურიდიულმა კომიტეტმა დაუჭირა. სამ სხვა კომიტეტზე მხარდაჭერა ვერ მოვიპოვე და ვნახოთ, სესიაზე რა იქნება. დღევანდელი სისტემა სრულიად უეფექტოა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასთან კავშირში არაა. წლევანდელი მონაცემებით, 6 000-ზე მეტი გაწვეული ახალგაზრდიდან მხოლოდ მეოთხედი წაიყვანეს სამხედრო სამსახურში. დანარჩენები კი უფასო მუშახელად მიჰყავდათ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურებში და ა.შ. ეს ახალგაზრდებისთვის სერიოზულ პრობლემად იქცა და დღეს ისინი ყველანაირად ცდილობენ, „ვიშკებზე“ დგომას თავი აარიდონ: ხან თვითდაზიანებებს იყენებენ, სხვადასხვა სასწავლებელში აბარებენ, რომ სტუდენტის სტატუსის გამო არ გაიწვიონ, ან ოჯახები გაწვევის გადასავადებლად 2 000 ლარს იხდიან, ზოგიერთი კი საერთოდ, ქვეყნიდან გარბის. რჩება მხოლოდ უკიდურესად გაჭირვებული ოჯახები, რომელთაც ფული არ აქვთ. გამოდის, ვინც ყველაზე გაჭირვებულია და სხვა გამოსავალი არ აქვს, სწორედ ის მიდის ჯარში, რომელიც დღეს გაჭირვებული ხალხის ჩაგვრის მექანიზმად იქცა.

— მმართველ გუნდს აქვს ეს პოზიცია თუ მხოლოდ რესპუბლიკურ პარტიას?

— ვერ ვიტყვი, რომ მმართველ გუნდსაც იგივე პოზიცია აქვს. ჯერჯერობით, კარგი განცხადება მხოლოდ თინათინ ხიდაშელმა გააკეთა. როგორც ვიცი, უმრავლესობის დეპუტატების დიდი ნაწილი ამ პოზიციას არ იზიარებს, ისევე, როგორც საქართველოს მთავრობა. მთავრობის დასკვნაც არსებობს ამ თემაზე, სადაც უსუსური არგუმენტი მოჰყავთ, რომ ამ სისტემის გაუქმება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას შეასუსტებს. ეს ზღაპარია, მგონი, არავის სჯერა, რომ რეზერვი ნამდვილ სამხედრო წვრთნას გადის, ამიტომ, ეს ადამიანები ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ბევრს ვერაფერს შემატებენ. მთავრობას, უბრალოდ, უფასო მუშახელი სჭირდება, რომ „ვიშკებზე“ დააყენოს და დაცვაში ამუშაოს.

— ისე, ნაციონალების დატოვების შემდეგ, ბევრი ფიქრობს, რომ უმრავლესობა, განსაკუთრებით კი რესპუბლიკელები თქვენს ინიციატივებს მხარს დაუჭერენ. ასეა?

— კარგი იქნებოდა, თუმცა ეჭვი მეპარება, ეს იდეა დრიგინ-დრიგინით გავიდეს. ფაქტია, უჭირთ ჩემს მიერ მოყვანილ არგუმენტებთან ჭიდილი. დღეს სამწუხარო რეალობა ისაა, ამ, ეტაპზე, კანონპროექტს მხარს არ უჭერენ.

პროექტის მიხედვით, კანონის ამოქმედების ვადად 2016 წლის 1 იანვარია განსაზღვრული.

საქართველო და პარიზული კოშმარი

ლევან სეფისკვერაძე

საფრანგეთში მომხდარი ტერორისტული აქტების სერიის შემდეგ, თითქოს, ყველა კითხვას გაეცა პასუხი იმასთან დაკავშირებით, გვინდა თუ არა საერთო უსაფრთხოების სისტემების შექმნა და აქვს თუ არა ბეჩავ საქართველოს ამხელა ორომტრიალიდან სხვათა დაუხმარებლად გამოსვლის შანსი. მაშინ, როდესაც ევროპის მოწინავე სახელმწიფოში ტერორისტები დანავარდობენ, მოდი და იყავი მშვიდად ჩვენი ბიუჯეტშემცირებული უშიშროების იმედად, რომლის წარმომადგენლებსაც, ყველაზე კარგად მხოლოდ პოლიტიკური ოპონენტების მოსმენა და დევნა გამოსდით, რეალურ საგარეო საფრთხეებზე კი ბოლო დროს საერთოდ აღარავინ საუბრობს.

ყველაფერი არდაჯერებით დაიწყო... რატომღაც ადამიანები ძნელად იჯერებენ იმას, რომ შეიძლება ხვალ დიდი უბედურება მოხდეს და საუკუნეების მანძილზე რუდუნებით ნაშენები სამყარო და მშვიდობა ისე ჩამოგვემხოს თავზე, ვერც კი გავიგოთ. ადამიანები ასევე ნაკლებად ვიჯერებთ და უფრო ზუსტად ვთქვათ, არ გვსურს დაჯერება, რომ ტერორიზმი სადღაც შორს, მიკარგულ მოუსვლელში კი არა არის, აქვე, ჩვენს გვერდით სახლობს და ყველაფერი სასხლეტის ერთი გამოკვრით გადაწყდება. ადამიანებს ხომ უბრალოდ გვეშინია!

რა უფლება გვაქვს სრულიად ისლამურ სამყაროზე გადავტეხოთ ჯოხი და ყველა მუსლიმი ტერორისტად გამოვაცხადოთ, მაგრამ განა სამართლიანი იყო საფრანგეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომ ლამის ყველა არაბს — სირიელსა და პალესტინელს უპრობლემოდ მისცეს საფრანგეთში ცხოვრების საშუალება მაშინ, როდესაც „შარლი ჰებდო“ სულ ახლახან მოხდა და როგორც ჩანს ვერც ფრანგი ჟურნალისტების დახოცვამ გადაახედინა ევროპას თავისი პოლიტიკური მატრაკვეცობისათვის.

ჩვენი „ერთმორწმუნე ძმები“ კი უკვე ხელების ფშვნეტით წერენ, რომ ევროპა „ხის ფეხებზე შემდგარი გოლიათი“ ყოფილა, რომელსაც მხოლოდ მომხდარ ფაქტებზე შეუძლია რეაგირება და ისიც არასათანადოდ. და ამ დროს სხვამ ვინ უნდა დაიცვას მსოფლიოში მშვიდობა, თუ არა რუსეთმა? რუსეთი ხომ ცნობილი „მშვიდობისდამცველია?“ რუსეთს ხომ ამის დიდი გამოცდილება აქვს. ასეთ ვითარებაში კი სხვა რა უნდა ვთქვათ, თუ არა, ლეგენდადქცეული ფრაზა: „ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ?“...

საერთოდ არ ვარ დიდი და განსაკუთრებული წარმოდგენის იმ ჩვენებურების მიმართ, რომლებიც ევროპაში ქურდობენ, მაგრამ ქართველს ყველაფერი შეიძლება დააბრალო ტერორისტობის გარდა. ტყუილი კი არ უთქვამს იმ ტკბილ ლეჩხუმელ ლადოიეს „თავს არ მოიკლავს, ქართველი არა“ — რომ დაწერა. შანსი არაა, ქართველი ტერორისტული მუღამით თავს არ მოიკლავს! ამიტომაც, ქართველი ტერორისტი ისეთივე წარმოუდგენელია, როგორც არაბი ჰოკეისტი. ჰოდა, ამ ევროკავშირისათვის განა რა დიდი უბედურება იქნებოდა 4 მილიონიანი საქართველოსათვის იმ ტიალი უვიზო რეჟიმის მიცემა. ცოტას მაინც ხომ ამოვისუნთქავდით, ცოტა მეტი ფული ხომ შემოვიდოდა? ცოტა მეტი ჩვენი თანამემამულე ხომ ნახავდა, რომ ევროპა არც ისეთი ცუდია, როგორც ვიღაც-ვიღაცები ბოდავენ. მაგრამ არა – ევროპა ადგა და ევროპული ცივილიზაციისათვის სრულიად უცხო ხალხი გამოარჩია და მართლაც უდანაშაულო სირიელებთან ერთად, თავშესაფარი ათასი ჯურის ტერორისტსა და ავაზაკსაც მისცა. ბოლოს კი ეს უბედურებაც მოხდა...

საფრანგეთი შესანიშნავი ქვეყანაა და იგი აუცილებლად შეძლებს ამ უბედურების გადალახვას იმედია, ტერორისტებსაც გაეცემა ის პასუხი, რასაც იმსახურებენ. ჩვენ ყოველთვის უნდა გვჯეროდეს, რომ საფრანგეთი და ფრანგი ხალხი ჩვენთვის აღარ იქნება დაბრკოლება ევროპისაკენ მიმავალ გზაზე და ასევე უნდა გვჯეროდეს, რომ ყველანი ერთად დავინახავთ რეალურ მტერს და ბოლოს და ბოლოს ჩვენც დაგვადგება საშველი!

„იმიტირებული თვითმკვლელობა“ ზონაზე

როგორ სცადა „კაზიოლმა“ პატიმრის გადარჩენა

პატიმარი №0578

წინა ხელისუფლების პირობებში ასე იყო — თუ ვინმეს ვერ გამოტეხავდნენ და გლდანის ციხის ჯოჯოხეთს გაუძლებდა, მეორე ეტაპი ზონაზე იწყებოდა. ზონაზე იმიტომ, რომ იქ უფრო „ადვილი იყო თვითმკვლელობა“ და პატიმრებს ამით აშინებდნენ. ხელისუფლება ყველაზე მეტად მოპარულ ფულს ეძებდა. თუ დიდი თანხა იყო დაკარგული, მომპარავს მცირე სასჯელს სთავაზობდნენ თანხის არაოფიციალურად დაბრუნების სანაცვლოდ, ანუ მას თანხა უნდა დაებრუნებინა, ოღონდ სასამართლოზეც და ძიების პროცესშიც, ეს უნდა დაემალა. სად მიდიოდა ფული, კაცმა არ იცის, მაგრამ ასეთი საქმისთვის ხელი რომ მოეკიდათ, თანხა მინიმუმ ასი ათასზე ზემოთ უნდა ყოფილიყო.

რუსთავის №17 დაწესებულებაში ზონა ახალი დაკეტილი იყო, როცა ეზოში ოთხი ახალი პატიმარი გამოატარეს. ერთს, სავარაუდოდ ჩვენს კამერაში შემოიყვანენ, ადგილიაო, თქვა №0578-ის ერთ-ერთმა „საკამერნიკმა“. მართლაც, დაახლოებით ათ წუთში კამერა გაიღო და ასე, 35 წლამდე პატიმარი შემოვიდა. პატიმრები ახლადმოსულს წესისამებრ შეხვდნენ, ყავა და სიგარეტი მისცეს, საწოლი უჩვენეს და ისიც უხმოდ იღებდა ყველაფერს, თუმცა არ უკვირდა, ანუ იცოდა, რომ ეკუთვნოდა და მშვიდად იყო. გოგა მქვიაო, ეგ იყო, რაც თქვა და დილამდე ხმა აღარ გაუღია.

დილით, როგორც კი ზონა გაიღო, კამერაში „კაზიოლების“ საკნის ერთ-ერთი ბინადარი შემოვიდა და №0578-ს ნარს მიადგა.

„დილა მშვიდობის. 73-ე კამერაში ორი ლეიბი გამაჩეჩინეს და სიგარეტს არ მაძლევენ. ტყუილად როდემდე ვიმუშაო, მიშველე რამე, რა“, — უთხრა №0578-ს და იმანაც უხმოდ დაუქნია თავი.

№0578 წამოდგა, ჩაცმა დაიწყო და ზურგსუკან ახლადმოყვანილის ხმა გაიგონა — „კაზიოლებს ვაპადდერჟკებთ“ და რამე?!“

პატიმარი უხმოდ მოტრიალდა, ახლადმოყვანილს დააკვირდა და...

„გოგა, არა?! ჰოდა, ჩემო გოგა, „კაზიოლებს“ კი არა, სიმართლეს „ვაპადდერჟკებთ“. ეს ერთი! მეორე — ამათ თუ უარი თქვეს ლეიბების გაჩეჩვაზე, მერე რობო კი აღარ გაჩეჩავს ლეიბს, მე და შენ მოგვიწევს ამის გაკეთება. და მესამე, ერთმანეთს არ ვიცნობთ და ასე თამამად საუბარი, ცოტა არ იყოს, უცნაურია. ხომ შეიძლება რაღაც არ მომეწონოს და...“, — აღარ დაასრულა №0578-მა.

„და რა?!“ — ნარიდან წამოხტა გოგა.

„აუფ, შენ რა ნერვიული ყოფილხარ? და ის, რომ რაც მე მეხება, ხმის ამოღება აგიკრძალო, ის, რაც თქვი, „კაზიოლებს აპადდერჟკებსო“, აგახსნევინო და შენც ხომ იცი, ვერ ახსნი და რამდენიმე ალიყური შეგაჭამო“, — გაუღიმა №0578-მა.

„მაყურებლებთან ჩავიდეთ ახლავე“, — მოკლედ მოჭრა გოგამ და კამერიდან გავიდა. №0578 უკან გაჰყვა. მაყურებლების კამერაში საუზმობდნენ. გოგა და №0578 რომ დაინახეს, მეგობრულად გაუღიმეს, №0578 მოიკითხეს, გოგას კი გადაეხვივნენ, როგორც იქნა, მოაღწიე აქამდეო.

„ეს ვინ არის?!“ — იკითხა გოგამ და №0578-ზე ანიშნა.

„ჩვენი ძმაა. ჩაგიტარა დილიდან?! არ აჰყვე, თორემ ისე მიგივლის და მოგივლის, გონზე ვერ მოხვალ“, — გაეცინა მაყურებელს.

გოგამ თავიდან ბოლომდე დეტალებში მოჰყვა, რაც მოხდა და მაყურებლები გაბრაზდნენ: „კაზიოლებს“ თუ ვამუშავებთ, სიგარეტი მაინც უნდა მივცეთ ხოლმე. №0578 მართალია, რამდენიმე „კაზიოლი“ სხვა ზონაზე გაიქცა და კინაღამ მართლა მუშა ხელის გარეშე დავრჩით. ადი, იმათ უთხარი, ვირივით რომ ამუშავებენ რობოს, გადაუხადონ, ცოტა მაინც გადაუხადონ. თქვენ კიდევ რა გჭირთ, ორივე ჩვენი ძმები ხართ და ერთმანეთს გაუფრთხილდით.“

№0578 კამერაში აბრუნდა, მაყურებლების დანაბარები გადასცა იმათ, ვინც „კაზიოლს“ ჩაგრავდა და რობოს კუთვნილი სიგარეტი მიაღებინა, მერე კამერაში გაიყვანა და ყავაც უფეშქაშა.

„მაინც ვერ ვხვდები, რატომ ეფერებით ასე „კაზიოლებს“, — გაოცება ვერ დამალა გოგამ.

„დაიკიდე რა. ეს „კაზიოლები“ ადმინისტრაციასთან არიან შეკრულები და ხანდახან ეგებ რამე წამოსცდეთ ხოლმე. და შენ რაზე დაგიჭირეს?“ — ჰკითხა №0578-მა.

„ქურდობაზე“, — მოკლედ მოჭრა გოგამ.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, სადილის ბალანდის დარიგების წინ, „კაზიოლი“ რობო №0578-თან მივიდა და რაც შეიძლებოდა ჩუმად უთხრა: „დღეს, სადილის დროს, შენს კამერაში ჩხუბი ატყდება, რეჟიმი შემოვა და ყველას გააკარცერებს. ფრთხილად იყავი...“

„რატომ? მიზეზი არ იცი?“ — ჩურჩულითვე ჰკითხა №0578-მა.

„არა. მარტო ეგ მოვისმინე... შენი კამერის ნომერი თქვეს და ვიღაც გოგა ახსენეს. ვინც უნდა იჩხუბოს, ისინიც იქ იყვნენ. იცი რომლები არიან? მოიცა, განახო“, — თქვა რობომ, კამერას თვალი მოავლო, მაგრამ №0578-მა გააჩერა, რომ იჩხუბებენ, თავადაც მივხვდებიო.

პატიმარი №0578 მაშინვე გოგას სანახავად წავიდა, მოუყვა, რაც გაიგონა, გეგმაც ერთად მოიფიქრეს. ბალანდის დარიგების შემდეგ №0578 და გოგა ნარზე აძვრნენ, გაზეთი გაშალეს, ფეხები მოკეცეს და ნარზე დაიწყეს სადილობა. კამერაში ორი პატიმარი შელაპარაკდა, ჯერ ხმას აუწიეს, მერე კი ერთმანეთს დასცხეს. მთელი კამერა მათ გასაშველებლად ჩაერთო, მხოლოდ გოგა და №0578 არ განძრეულან და ზემოდან უყურებდნენ ყველაფერს. წუთიც არ იყო გასული, კამერის კარი რომ გაიღო და რეჟიმი შემოვიდა. მოჩხუბრები მაშინვე გაჩერდნენ და რეჟიმის უფროსმაც იღრიალა, ყველა კარცერშიო, თუმცა მერე თვალი ჰკიდა, როგორ ისხდნენ გოგა და №0578 ცალკე, ნარის ზედა სართულზე და მშვიდად ჭამდნენ.

„თქვენ მანდ რას აკეთებთ?!“ — გაოცებით ჰკითხა.

„ვსადილობთ უფროსო. სადილის დროა და რეჟიმს ხომ არ დავარღვევთ“, — გაუღიმა №0578-მა. კამერიდან არავინ გაუყვანიათ იმ ორი მოჩხუბარის გარდა.

„არაფრის თქმა არ გინდა?!“ — ჩუმად ჰკითხა №0578-მა გოგას, როცა რეჟიმი გავიდა.

„ფულს ეძებენ. სამასი ათასის მოპარვაზე ვარ დაჭერილი, თანხა ვერ იპოვეს, ანაბეჭდი ჩემია და მოკლედ რა, ეგ თანხა უნდათ. ეს არ არის ახლა მნიშვნელოვანი, მნიშვნელოვანი ის არის, რომ კამერაში ორი ბოზი გვყავდა თურმე“, — თქვა გოგამ.

„ჰო, ეგრეა... და ნუ გიკვირს, ყველგან მასე იქნება“, — უთხრა №0578-მა. საღამოს რობო ისევ გამოჩნდა: „ეგ ის პატიმრები არ არიან, ვისაც უნდა ეჩხუბათ. ალბათ მაგათმა მართლა იჩხუბეს, სხვები იყვნენ იქ“.

„რაა? მაგიჟებ ხო?!“ — გაოცდა №0578.

„არა, რას გაგიჟებ, ეგენი არ იყვნენ-მეთქი“, — ჩუმად თქვა რობომ და გავიდა. №0578-მა ყველაფერი გოგას უთხრა და გაოცებისგან იმანაც პირი დააღო. საღამოს კამერაში მეორე სერია დაიწყო — ახლა სხვა პატიმრები წაეკიდნენ ერთმანეთს და სანამ გოგა ნარზე აძრომას მოასწრებდა, რეჟიმი შემოვიდა და მოჩხუბრებთან ერთად კამერის გზას გოგაც გაუყენა.

„თქვენ მაინც მითხარით, რა ხდება?!“ — №0578 მეორე დღეს მაყურებლების კამერაში იყო.

„რა ხდება და გოგამ სეიფი გაიტანა, სადაც ოფიციალურად სამასი ათასი იდო, არაოფიციალურად კი სამჯერ მეტი. ჰოდა, მაგ თანხას ედავებიან, მაგრამ ეს ამტკიცებს, არ ვიციო. ახლა დაპრესავენ ალბათ“, — თქვეს მაყურებლებმა.

გოგა კამერაში აღარ ამოუყვანიათ. არც ის პატიმრები, რომლებმაც მეორედ იჩხუბეს. როგორც შემდეგ გაირკვა, გოგა ქსნის კოლონიაში გადაიყვანეს, იქიდან კი ერთი თვის თავზე სახლში წაასვენეს. ოფიციალური ვერსია თვითმკვლელობა იყო.

ჰიპერმარკეტი „გორგია“ მომხმარებელს ცენტრალური გათბობის სისტემებს ყველაზე დაბალ ფასად სთავაზობს

ცენტრალური გათბობის სისტემებს ჰიპერმარკეტი „გორგია“ მომხმარებელს ყველაზე დაბალ ფასად სთავაზობს. როგორც ჰიპერმარკეტ „გორგიაში“ ამბობენ, ისინი ყოველთვის ცდილობენ, მომხმარებელს სხვადასხვა პროდუქციაზე ყველაზე დაბალი ფასი შესთავაზონ. ცივი ზამთრის მოახლოებასთან დაკავშირებით კი გადაწყვიტეს გათბობის სისტემები მაქსიმალურად მოერგოთ მომხმარებლის მოთხოვნისათვის და ყველაზე იაფად შეეთავაზებინათ.

„ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, ჩვენს მომხმარებელს ყველაზე ხელმისაწვდომი ფასები შევთავაზოთ, რაც გამოიხატება ასეულობით პროდუქტზე ფასდაკლების აქციებით. მომხმარებელს შეუძლია ჩვენთან ყოველთვის ნახოს მისთვის საჭირო პროდუქცია ყველაზე დაბალ ფასად. ამ შემთხვევაშიც შევეცადეთ გათბობის სისტემების მონტაჟი მაქსიმალურად კომფორტული და მარტივი გაგვეხადა ჩვენი მომხმარებლისათვის. ჩვენთან ერთი მეტრ კვადრატის გათბობა 25 ლარიდანაა შესაძლებელი, ამ თანხაში შედის მონტაჟიც. მიტანის სერვისსა და პროექტირებას მომხმარებელი საჩუქრად მიიღებს „გორგიასგან“. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რაც უფრო დიდია გასათბობი სივრცე, მით უფრო დაბლა იწევს კვადრატული მეტრის ფასი“, — აცხადებენ ჰიპერმარკეტ „გორგიაში.“

ცენტრალური გათბობის სისტემების გარდა ჰიპერმარკეტში მოსულ მომხმარებელს 50-მდე სახეობის გაზის გამათბობლის შეძენა მხოლოდ 389 ლარიდან შეუძლია. მრავალფეროვანი არჩევანი, ვაჭრობისთვის კომფორტული გარემო, უფასო კონსულტაციები და რჩევები მომხმარებელს საშუალებას აძლევს ძალიან მარტივად და რაც მთავარია, მოკლე დროში თბილი გარემო მოიწყოს, დაზოგოს კომუნალური გადასახადები და რაც მთავარია, გადაიხადოს გაცილებით ნაკლები.

ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მომხმარებელს ჰიპერმარკეტ „გორგიაში“ ნებისმიერი პროდუქტის შეძენა 0%-იანი განვადებით შეუძლია. განსაკუთრებული აქცია მოქმედებს გარემოსადმი მეგობრულ — ენერგოეფექტურ გამათბობლებზე, მისი 0%-იანი განვადებით შეძენის შემთხვევაში გადახდილი თანხის 10% მომხმარებელს უკან დაუბრუნდება.

აქცია, რომელიც ცენტრალური გათბობის სისტემის პროექტირებას, შეძენას, მიტანასა და მონტაჟს მოიცავს ჰიპერმარკეტ „გორგიას“ სამივე ფილიალში თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში მოქმედებს.

ისრაელის სადაზღვევო კომპანია „ალფას“ 700 ათას ლარს ედავება

თამარ მჭედლიშვილი

2015 წლის აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოში „სადაზღვევო კომპანია ალფას“ წინააღმდეგ სარჩელი შევიდა. მოსარჩელე მხარე — შპს „ინფორტ ტექნოლოგი“, რომელიც ისრაელის რეზიდენტი იურიდიული პირია, სადაზღვევო კომპანიას 700 ათას ლარამდე თანხას ედავება. სარჩელის შეტანიდან უკვე სამი თვეა გასული, მაგრამ სასამართლოს ჯერ არ დაუწყია საქმის განხილვა. არადა, ბიზნესდავები, როგორც წესი, საგრძნობლად აზარალებს მოდავე მხარეებს და მთლიანობაში, აფერხებს მათ საქმიანობას.
კანონით, სასამართლო ვალდებულია, სარჩელის შეტანიდან მაქსიმუმ ხუთი თვის ვადაში განიხილოს სარჩელი, მაგრამ, როგორც წესი, ეს ვადები ირღვევა. მიზეზად კი ანალოგიურ საქმეთა სიჭარბე სახელდება.

რატომ აჭიანურებს საქმის განხილვას მოსამართლე ტარიელ ტაბატაძე და როგორ ზარალდება ბიზნესი სასამართლოს უუნარობის გამო

დღეს, როდესაც სასამართლო სისტემა განსაკუთრებული ინტერესის ქვეშაა მოქცეული, როდესაც კითხვის ნიშნები ჩნდება ამა თუ იმ მოსამართლის კეთილსინდისიერებისა და მიუკერძოებლობის შესახებ, მსგავსი დავების განხილვის გაჭიანურება ბევრ ეჭვს ბადებს სასამართლო ხელისუფლების მიმართ. ამიტომაც მნიშვნელოვანია, სასამართლომ, მიუხედავად ყველაფრისა, საქმეები დროულად განიხილოს და სამართლიანი განაჩენი გამოიტანოს.

„ვერსია“ დაინტერესდა იმ სარჩელთა რაოდენობით, რომელიც ბიზნესსუბიექტებს უკავშირდება. როგორც ირკვევა, მათი რიცხვი საკმაოდ დიდია, სასამართლო კი, როგორც წესი, ამ დავების განხილვას არ ჩქარობს. მთლიანობაში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზარალდება როგორც ბიზნესსექტორი, ასევე სასამართლო ხელისუფლების რეპუტაცია.

ჩვენს ხელთ არსებულ სარჩელებს თუ გადავხედავთ, აშკარა ხდება, რომ საქმე მხოლოდ ფინანსური დავით არ შემოიფარგლება. „ვერსიისთვის“ ცნობილი გახდა რამდენიმე ასეთი საქმის შესახებ. მოვიპოვეთ სათანადო დოკუმენტაციაც, რომლის გაცნობის შემდეგ კითხვები სხვა მიმართულებითაც გაჩნდა. არ არის გამორიცხული, ეს საქმეები სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებსაც შეიცავდეს. ამიტომ მსგავსი დავების განხილვის გადადება არა მხოლოდ მასში მონაწილე სუბიექტებს დააზარალებს, არამედ, რაოდენ ხმამაღლაც უნდა ჟღერდეს, შესაძლოა, მიჩქმალოს კომერციული დანაშაულიც.

სწორედ ამიტომ „ვერსია“ იწყებს სტატიათა ციკლს, რომელიც ასეთი დავების განხილვის მიმდინარეობას, ამ დავების სუბიექტებს და სასამართლოს მიმდინარეობას ეხება.

ერთ-ერთი ასეთი სარჩელი, როგორც უკვე ვთქვით, სასამართლოში სადაზღვევო კომპანია „ალფას“ წინააღმდეგ არის შესული.

ყველაფერი 2010 წლის 19 ოქტომბერს დაიწყო, როდესაც, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ჰოსპიტალების ოპერირების საერთაშორისო საწარმოს“ (შემდგომში „ჰოსსი“) საკუთრებაში გადასცა შპს „ჯანმრთელობა 2010“ (შემდგომში ამ შპს-ს „ადითი“ ეწოდა, ამჟამად კი იგი „რეგიონული ჰოსპიტლის“ სახელით არის რეგისტრირებული). ამ კომპანიას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გადაეცა უძრავი ქონების ათი ობიექტი და ამ შენობებში საავადმყოფოების გახსნის ვალდებულება დაეკისრა.

თავის მხრივ, „ჰოსს“-მა 2011 წლის 7 თებერვალს დააფუძნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო ანალოგიური სახელწოდებით „ადითი“, რომელსაც უნდა უზრუნველყო შპს „ჯანმრთელობა 2010“-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებში სამედიცინო მომსახურების გაწევა.

მალევე ფირმა „ადითმა“ ხელშეკრულება გააფორმა „სადაზღვევო კომპანია ალფასთან“, რომელსაც გურიის რეგიონში, კერძოდ კი ლანჩხუთისა და ჩოხატაურის საავადმყოფოებში დაზღვეული პაციენტების მომსახურებისთვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარჯები უნდა დაეფარა.

ამ ორ კომპანიას შორის პრობლემებმა მალევე იჩინა თავი. როგორც „სადაზღვევო კომპანია ალფას“ გენერალურმა დირექტორმა მაკა სოლოღაშვილმა „ვერსიასთან“ განაცხადა, „ადითი“ არ თანამშრომლობდა სადაზღვევო კომპანიასთან და არ ხდებოდა სადავო საკითხების ერთობლივი განხილვა. „ადითი“ თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა გეგმურ რევიზიას და მხოლოდ ერთხელ დართო ნება „ალფას“ წარმომადგენლებს, ხუთი დღის განმავლობაში განეხორციელებინათ ასეთი სახის შემოწმება. თუმცა, სოლოღაშვილის თქმით, ეს ხუთი დღე არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ კომპანიას დეტალურად შეესწავლა წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა.

მალევე „ადითმა“ საერთოდ თქვა უარი „ალფას“ წარმომადგენლების დოკუმენტაციამდე დაშვებაზე. შესაბამისად, სადაზღვევო კომპანია ვერ ახორციელებდა გეგმურ ინსპექტირებას და შეუძლებელი იყო იმის დადგენა, რეალურად რამდენი ლარის დავალიანება ჰქონდა მას „ადითის“ მიმართ. მოგვიანებით მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება გაუქმდა და ღიად დარჩა სადაო ფინანსების საკითხი.

ამასობაში, საკმაოდ სანტერესოდ ვითარდებოდა მოვლენები მოსარჩელე მხარესთან. მიმდინარე წლის 27 ივლისს „ადითმა“ ხელშეკრულება გააფორმა ისრაელში რეგისტრირებულ კომპანია „ინფორ ტექნოლოჯისთან“ და მას „ალფას“ მიმართ წარმოქმნილი ფინანსური მოთხოვნის უფლება დაუთმო.

ამ ხელშეკრულებაში საინტერესო ისაა, რომ როგორც „ადითის“, ასევე „ინფორტ ტექნოლოგის“ სახელით მას ხელს ერთი და იგივე პიროვნება — ელენა ლევინი აწერს. ამ დოკუმენტის თანახმად, ისრაელის მოქალაქე ლევინი ერთდროულად „ადითის“ და „ინფორტ ტექნოლოგის“ დირექტორად გვევლინება.

„ვერსია“ შეეცადა დაკავშირებოდა ელენა ლევინს. დახმარებისთვის საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის თავმჯდომარეს, იციკ მოშესაც მივმართეთ, მაგრამ ლევინი ჩვენთან კონტაქტზე არ გამოვიდა.

მას შემდეგ, რაც „ადითმა“ „ინფორტ ტექნოლოგის“ ვალის ამოღების უფლება გადასცა, ამ უკანასკნელმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა. სასარჩელო განცხადებაში ვკითხულობთ: **„...შპს „ადითი“ სამედიცინო მომსახურებას უწევდა მოქალაქეებს, რომლებიც დაზღვეულნი იყვნენ მოპასუხე — შპს „სადაზღვევო კომპანია ალფას“ მიერ, რომელსაც ... აღებული ჰქონდა ვალდებულება განეხორციელებინა სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება სიღარიბის ზღვარსმიღმა მყოფი მოსახლეობის, ბავშვებისა და ხანდაზმულ პირთათვის... შპს „ადითის“ მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურების თაობაზე მხარეთა შორის პერმანენტულად დგებოდა ურთიერთშედარების აქტები, რომელთა ნაწილსაც მოპასუხე — შპს „სადაზღვევო კომპანია „ალფა“ ანაზღაურებდა, თუმცა 2012 წლიდან მოპასუხე რეგულარულად არღვევს მთავრობის დადგენილებით მასზე დაკისრებულ ვალდებულებას და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, სრულიად უსაფუძვლოდ, უარს აცხადებს შპს „ადითის“ მიერ მოპასუხის მიერ დაზღვეული მოსახლეობისთვის სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში გაწეული სამედიცინო მომსახურების საფასურის ანაზღაურებაზე...“**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადი დავალიანების, ასევე პირგასამტეხლოსა და სხვა ხარჯების გათვალისწინებით, ისრაელის კომპანია „ალფას“ 700 ათასამდე ლარს ედავება.

„ალფას“ წარმომადგენლები მზად არიან, სასამართლოზე დაამტკიცონ ამ ბრალდების უსაფუძვლობა. როგორც მაკა სოლოღაშვილი „ვერსიასთან“ აცხადებს, გეგმურ ინსპექტირებაზე უარის თქმით „ადითმა“ ყველა პირობა შექმნა, რომ დოკუმენტაცია გაეყალბებინა, გაეზარდა ხარჯები და სადაზღვევო კომპანიისათვის დაუსაბუთებელი ხარჯთაღრიცხვა წარედგინა.

„მოსარჩელემ, ფაქტობრივად, არ წარმოადგინა არანაირი დოკუმენტაცია გარდა ხარჯთაღრიცხვისა და ინვოისებისა. მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ რეალური დოკუმენტაცია ან გაყალბებულია, ან განადგურებული. ასე მაგალითად, ლანჩხუთში ორი კვირის განმავლობაში ერთი და იმავე პაციენტს ვითომდა ორჯერ ჩაუტარდა ჩაჭედილი თიაქარის ოპერაცია და არც ერთ ოპერაციაზე არ დაწერილა პროტოკოლი. ეს, პირდაპირ გეტყვით, არის კრიმინალი. ამავე დროს, მოსარჩელე მხარის კუთვნილი დოკუმენტაციის თანახმად, ავადმყოფებს ისე უტარდებოდათ მკურნალობა, არ იყო ჩატარებული აუცილებელი კვლევები. ეს ყველაფერი კი ბევრ ეჭვს ბადებს. ჩვენ ვითხოვთ, მოგვეცეს რეალური ინსპექტირების საშუალება, რათა საბოლოოდ გაირკვეს, რასთან გვაქვს საქმე“, — ამბობს „ალფას“ გენერალური დირექტორი **მაკა სოლოღაშვილი.**

„სადაზღვევო კომპანია ალფამ“ უკვე ორჯერ მიმართა სასამართლოს კითხვით, როდის დაიწყება ამ დავის განხილვა, რადგან შექმნილი ვითარება აფერხებს მათ სრულყოფილ საქმიანობას. გარდა ამისა, ლახავს მათ საქმიან რეპუტაციას. მხარე მზად არის, დაამტკიცოს სასამართლოში საკუთარი პოზიციის სისწორე. თუმცა მოსამართლე ტარიელ ტაბატაძე პროცესის დანიშვნას არ ჩქარობს.

როგორც აღვნიშნეთ, ასეთი საქმეების რაოდენობა სასამართლოში შთამბეჭდავია. ჩვენი ინფორმაციით, „ინფორ ტექნოლოჯისს“ სხვა კომპანიების წინააღმდეგაც აქვს შეტანილი სარჩელი. აქვე დავძენთ, რომ ამ საქმეებში, შესაძლოა, უფრო მეტად გამოიკვეთოს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, ამიტომ გადამწყვეტი სიტყვა სასამართლოს ეკუთვნის.

ჩვენ ვადევნებთ თვალს ამ პროცესებს და მკითხველს ოპერატიულად მივაწვდით ასეთ საქმეებთან დაკავშირებულ ახალ ინფორმაციას.

ვერსიანიუსი

ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის ახალი სისტემა დაინერგება

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ანტენატალურ და სამეანო მომსახურებაზე ზედამხედველობას აძლიერებს.

ამ მიზნით დაინერგება აღრიცხვიანობის ახალი ელექტრონული სისტემა „ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის ელექტრონული მოდული“, რომელიც აძლიერებს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მართვის საინფორმაციო სისტემას; უზრუნველყოფს მონაცემთა სიზუსტეს; აადვილებს მომსახურების მიწოდებაზე კონტროლსა და ანგარიშგებას; აუმჯობესებს სერვისის ხარისხს და იძენს უდიდეს პოტენციალს, გახდეს მსოფლიო სამეცნიერო კვლევების ნაწილი. ახალი ელექტრონული სისტემა ჯანდაცვის სამინისტროს ეროვნულ სასწავლო ცენტრში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორ ამირან გამყრელიძესა და საქართველოში გაერო-ს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელ საშა გრაუმანთან ერთად წარადგინა.

აღნიშნული პროექტი გაერო-ს ბავშვთა ფონდის ტექნიკური და ფინანსური ხელშეწყობით ხორციელდება. ჯანდაცვის სამინისტროს ეროვნულ სასწავლო ცენტრში მიმდინარეობს ანტენატალური კლინიკების და სამშობიაროების წარმომადგენელთა ტრენინგი-მონაცემთა შეყვანასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დაგეგმილია მთელი ქვეყნის მასშტაბით აღნიშნული დაწესებულებების 500-მდე წარმომადგენლის მომზადება. თბილისის გარდა, ტრენინგები გაიმართება იმერეთში, სამეგრელოსა და აჭარის რეგიონებში. 2016 წლიდან „ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდულში“ მონაცემების განთავსება სავალდებულო გახდება და მისი გამოყენება მოხდება, როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში წარსადგენი სტატისტიკური ანგარიშგებისთვის, ასევე ანტენატალური მეთვალყურეობის სახელმწიფო პროგრამისა და მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული სამედიცინო მომსახურების კომპონენტებში. ახალი ელექტრონული სისტემის დანერგვაში საქართველოს ეხმარება ნორვეგიის ტრომსოს უნივერსიტეტი, რომელიც ასევე აქტიურად ჩაერთვება მოდულის დანერგვის პროცესშიც.

„პია“

უმჯობესია თუ არა თმის გადანერგვა

რამდენ ხანს გრძელდება და შეიძლება თუ არა თმის გადანერგვა დიაბეტის, გულის და სხვა დაავადებების დროს

თმის ცვენა (ალოპეცია) დაავადებაა, რომელსაც მკურნალობა სჭირდება. მკურნალობის ორი მედოთი არსებობს — მედიკამენტოზური და ქირურგიული, ანუ გადანერგვა, მკურნალობის დაწყებამდე, აუცილებელია, დადგინდეს, რა არის ალოპეციის მიზეზი. **„როცა პაციენტს მუცლის მარჯვენა ქვემო ნახევარში ტკივილი აქვს და მწვავე აპენდიციტის დიაგნოზი დაისმევა, აპენდექტომია უნდა გაკეთდეს, კოლიტის დიაგნოზის დასმისას კი, ინფექციონისტის ჩარევაა საჭირო. ჩვენს სფეროშიც ასეა, ანუ თმის ცვენის ბევრი მიზეზი არსებობს. ასე, მაგალითად, თმის ცვენა შეიძლება, დაკავშირებული იყოს კანის ისეთ დაავადებასთან, როგორიცაა თმის ბუდობრივი ცვენა (ალოპეცია არეატა), ფსევდოპელადა (ბროკის დაავადება), ფრონტალური ფიბროზი და ასე შემდეგ, ასეთ დროს თმის გადანერგვა არ შეიძლება“,** — ამბობს ესთეტიკური მედიცინის ამერიკული აკადემიის პროფესორი, თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო და აზიის ასოციაციების წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თმის გადანერგვის კლინიკა „თალიზის“ ხელმძღვანელი **აკაკი წილოსანი,** რომელსაც მსოფლიოში კარგად იცნობენ და ორივე ნახევრასფეროზე ტრენინგებისა თუ ოპერაციების ჩასატარებლად ხშირად იწვევენ... მოკლედ, თმის გადანერგვა თმის ოპერაციული მკურნალობაა. ტერმინმა — „ოპერაციული მკურნალობა“ შეიძლება, ვინმე დააფრთხოს, მაგრამ „თალიზში“ თმის გადანერგვის ტექნიკა და მეთოდიკა სრულყოფილების ზღვარზეა. შესაბამისად, თმის გადანერგვის პროცედურა შესანიშნავ შედეგს იძლევა და პაციენტისთვის ძალიან ადვილი გადასატანია, რაც ნიშნავს, რომ ამ მანიპულაციას დისკომფორტი არ ახლავს. რაც მთავარია, ამ სფეროში გართულება, პრაქტიკულად, არ არსებობს. ამიტომ, თმის გადანერგვა რეკომენდებულია ყველასთვის, ვისაც „თალიზში“ მისვლა საკუთარი ფეხით შეუძლია.

„მახსოვს, ჩვენთან თმა იტალიელმა კვირინიო ალიოსმა გადანერგა, რომელიც 78 წლის იყო, — ამბობს აკაკი წილოსანი და შეკითხვაზე, შეუძლია თუ არა თმის გადანერგვა ბავშვს ან მოზარდს, განმარტავს, — **„თმის გადანერგვა ნებისმიერ ასაკში შეიძლება, თუმცა ბავშვებში თმის გადანერგვის ჩვენება მხოლოდ დამწვრობის, ოპერაციის, ან ტრავმის შემდგომი ნაწიბურებია სკალპის არეში. საერთოდ, თმის გადანერგვისთვის ზუსტი ჩვენებაა აუცილებელი“.**

თმის გადანერგვის ჩვენებებია: 1. მამაკაცური, ანუ ანდროგენული ალოპეცია. 2. ე.წ. ტრაქციული ალოპეცია — თმის ცვენა ხანგრძლივი არასწორი ვარცხნისა და მოქაჩვის შედეგად. 3. ე.წ. ნაწიბუროვანი ალოპეცია — დამწვრობის, ტრამვის, ან ოპერაციული ჩარევის შედეგად, სკალპის ნაწიბურებში განვითარებული თმის ცვენა. დადგენილია, რომ თმის ცვენის ყველა ჩვენების შემთხვევაში, 95% ანდროგენულ ალოპეციაზე მოდის, რომელიც თმის გადანერგვის პირდაპირი ჩვენებაა.

ანდროგენული ალოპეცია, როგორც თმის გადანერგვის მსოფლოში აღიარებული ქართველი გურუ, აკაკი წილოსანი განმარტავს, 18 წლის ასაკიდან, ანუ სქესობრივი მომწიფების მერე იწყება. თუ ადამიანს ანდროგენული, ანუ ბუნებრივი ალოპეცია 18 წლის ასაკში დაეწყო და თმა სწორედ ამ დროს გადაინერგა, შეუძლია, მშვიდად იყოს, რამეთუ **გადანერგილი თმა აღარასოდეს გასცვივდება!**

თმა, აკაკი წილოსანის თქმით, გენეტიკური კოდია. შესაბამისად, ალოპეციას, ასე ვთქვათ, ეროვნულობაც აქვს. ასე, მაგალითად, რუსეთსა და უკრაინაში ხშირია ფრონტალური ფიბროზი, რა დროსაც თმის გადანერგვა არ შეიძლება. საქართველოში კი, ეს პათოლოგია იშვიათად გვხვდება.

— ბატონო აკაკი, თმის გადანერგვა მას თუ შეუძლია, ვისაც ბუნებრივი ე.წ. თხელი, ანუ მეჩხერი თმა აქვს?

— თმის გადანერგვა მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ჩვენებების დროს შეიძლება.

— თმის დონორობა, ანუ სხვისი თმის გადანერგვა შეიძლება?

— არა...

— თუ ადამიანს ფსორიაზი, ან კანის სხვა ქრონიკული დაავადება აწუხებს, თმის გადანერგვა მაინც წარმატებული იქნება?

— რა თქმა უნდა. ფსორიაზით დაავადებული ბევრი პაციენტისთვის წარმატებული ოპერაცია გაგვიკეთებია. ზოგადად, თმის გადანერგვის უკუჩვენება არ არსებობს, თუმცა ჩვენება სწორად უნდა დადგინდეს...

— თუ პაციენტმა თმა სხვა კლინიკაში გადაინერგა და სასურველი შედეგი ვერ ნახა, შეიძლება, „თალიზის“ იმედი ჰქონდეს?

— დიახ, უნდა ჰქონდეს. შეიძლება, კეფაზე სადონორო მარაგი ამოწურულია, მაგრამ არსებობს თმის სხეულიდან გადანერგვის მეთოდი, რომლის დროსაც თმის ძირებს, მაგალითად, წვერის არედან გამოვიყენებთ და სასურველ შედეგს ვაღწევთ. შედეგის არმიღწევა ნიშნავს, რომ თმის ამოსვლა ან სუსტია, ან არაბუნებრივი. არაბუნებრივი ამოსვლისას თმის ხაზს ეტყობა, რომ გადანერგილია — თმა ჯგუფად ამოდის, რაც გადანერგვის ძველი ტექნიკით აიხსნება. ასეთ დროს კორექციის მეთოდები ეფექტურია.

— თუ ადამიანს თმა კეფაზე არ აქვს, ალოპეციის ანუ სიმელოტის ქირურგიული მკურნალობა მაინც შეიძლება?

— დიახ, შეიძლება, თუმცა ანდროგენული ალოპეცია იმას ნიშნავს, რომ პაციენტს თმა შუბლისა და თხემის არეში სცვივა, კეფაზე კი, შენარჩუნებულია. იმ შემთხვევაში, როცა კეფაზე ტრავმული ნაწიბურია, თმის გადანერგვა წინა მხრიდანაც შეიძლება.

— გადანერგილი თმა რამდენ ხანში ამოდის?

— თმის ამოსვლა გადანერგვიდან მესამე თვეს იწყება, საბოლოო შედეგი კი, ოპერაციის მასშტაბიდან გამომდინარე, 8 თვიდან ერთ წლამდე დგება.

— დიაბეტი, გულის, ან სხვა დაავადებები გადანერგილ თმაზე უარყოფითად მოქმედებს?

— თმის გადანერგვის ის მეთოდი, რომელსაც „თალიზი“ იყენებს, იმდენად ეფექტურია, რომ შაქრიანი დიაბეტის დროსაც გადანერგილი დრაფტების სიცოცხლისუნარიანობა 100%-ს აღწევს. თმის გადანერგვის მანიპულაცია ისეთივე ადვილად გადასატანია, როგორც ვთქვათ, კბილის ექსტრაქცია. მანიპულაცია 2-დან 5 საათამდე გრძელდება, გააჩნია ოპერაციის მასშტაბსა და გამოყენებულ მეთოდს. პაციენტი „თალიზში“ კონსულტაციაზე მოდის, რომელიც უფასო და ანონიმურია. ხდება დიაგნოზის დასმა, ისაზღვრება ოპერაციის მასშტაბი და მეთოდი. თუ პაციენტი მზადაა და კლინიკა თავისუფალია, ოპერაციის გაკეთება მეორე დღესვე შეიძლება. ოპერაციის მეორე დღეს, პაციენტი კლინიკაში ერთხელ კიდევ მოვა და ექიმთან მეტი შეხვედრა საჭირო აღარაა.

— გადანერგვის შემდეგ, თავის დაბანა რამდენ ხანში შეიძლება?

— გადანერგვის მეორე დღესვე.

აი, ასე: თმის გადანერგვის ოპერაცია აბსოლუტურად უმტკივნეულო პროცედურაა, მით უმეტეს, „თალიზში“, სადაც აკაკი წილოსანის მიერ შემუშავებულ, ადგილობრივი ანესთეზიის აბსოლუტურად სრუყოფილ მეთოდს იყენებენ, რომელსაც არც ალერგიული გართულებები ახლავს და არც — ინტოქსიკაციური. სწორედ ამიტომაც, პაციენტი ტკივილს არც პოსტოპერაციულ პერიოდში გრძნობს. ჰოდა, თუკი თმის ცვენამ შეგაწუხათ, ნუღარ აყოვნებთ, გეზი ტაშკენტის ქუჩის №27-სკენ აიღეთ და... გახსოვდეთ: თქვენი წარმატების გზა სწორედ „თალიზზე“ გადის!

ქაოსი უძრავი ქონების ბაზარზე

ბათო ჯაფარიძე

გვინდა თუ არა, ქართული ბაზარი ყველა მიმართულებით ნელ-ნელა ვითარდება და ევროპულსა და ამერიკულს უახლოვდება. რაღა თქმა უნდა, ჯერჯერობით იქამდე შორია, მაგრამ ის, რომ ქართულ საზოგადოებაში გაჩნდა მოთხოვნა, ბაზარი ევროპულთან და ამერიკულთან მიახლოებული იყოს, უკვე კარგია.

ამ ყველაფრის ფონზე, ერთ-ერთ მთავარ პრობლემატურ სფეროდ უძრავი ქონების ბაზარი რჩება. სამწუხაროდ, გაჭირვებისა თუ ბიზნესში ფულის დაბანდების გამო, ადამიანები ხშირად ბინებს ყიდიან, იპოთეკით ტვირთავენ, აქირავებენ... და ალბათ დაგვეთანხმებით, რომ იპოთეკარების პრობლემა ერთ-ერთი მთავარია დღეს საქართველოში, რასაც მათ მიერ მინიმუმ კვირაში ერთხელ გამართული აქციებიც მოწმობს. დაზარალებულთა ნაწილი ხელს მაკლერებისკენ იშვერს, ნაწილი არაკეთილსინდისიერი მყიდველისკენ, ნაწილი ამბობს, რომ ახლობელს ან სრულიად უცნობ ადამიანს ბრმად ენდო. ფაქტია, დაზარალებულთა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ზუსტი სტატისტიკაც კი არ არსებობს. ამ ყველაფრის ფონზე კი გაოცებას იწვევს, რომ ბაზარზე არც ერთი დიდი და სერიოზული მოთამაშე არ შემოსულა, რომელიც რაღაც სისტემაში მოაქცევდა ამ ყველაფერს, რაღაც სახელს დაარქმევდა, პასუხისმგებლობას აიღებდა და უძრავი ქონების გასხვისების მსურველს ის მაინც ეცოდინებოდა, პასუხი ვისთვის მოეთხოვა. მაგრამ არა — დრო გადის, პრობლემა პრობლემად რჩება და მისი მოგვარების გზებიც თითქოს არ ჩანს.

არადა, ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ბაზარზე იმდენად მსხვილი მოთამაშეები არიან, რომ მათი ქონება და კაპიტალბრუნვა მილიარდობით დოლარს აჭარბებს. სამწუხაროდ, საქართველოში იყო მცდელობა, რომ ბაზარზე რომელიმე მსხვილი ფირმა ან კონკრეტული პირი მონოპოლისტი გამხდარიყო, მაგრამ ნაწილი ბაზარმა არ მიიღო, ნაწილი კი... დაზარალებულების კიდევ უფრო დასაზარალებლად გამოჩნდა.

ამ ყველაფერმა ბაზარს თითქოს ნიჰილიზმი შესძინა და ერთი შეხედვით სიტუაციიდან გამოსავალიც არ ჩანს, თუმცა ის, რომ ბაზარზე ეს ნიშა თავისუფალია და პატრონს ელის, ფაქტია. ფაქტია ისიც, რომ უძრავი ქონების ბაზარი ისე არ არის განვითარებული საქართველოში, როგორც ამის მოთხოვნაა და ადამიანები ბრმად, ყოველგვარი დაზღვევის გარეშე ცდილობენ ქონების გასხვისებას ან შეძენას. პარალელურად, ბაზარზე კვლავ არიან ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც თაღლითური გზით ცდილობენ ქონების ხელში ჩაგდებას და ეს არცთუ იშვიათად, წარმატებით გამოსდით კიდეც. სამწუხაროდ, ქართულ სასამართლო სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე „წარმატებული“ დანაშაული სწორედ უძრავი ქონების ბაზარზე მოდის და დღესაც, სასამართლოებში ამ მიმართულებით არაერთი საქმე იხილება. უფრო ცუდი კი ის არის, რომ ძირითად შემთხვევაში დაზარალებული მხარე სასამართლოზე მარტო დადის, დანაშაულის ჩამდენი კი არ ჩანს... უფრო ზუსტად კი, თაღლითი სხვა დანაშაულის ჩადენას სხვა სახელით და გვარით ახერხებს.

ასეთი მაგალითები უამრავია და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ფაქტი ის გახლავთ, რომ ქართული ბაზარი, სადაც ევროპული თუ ამერიკული სტილის მიმართულებას ითხოვს, დღეისთვის ცარიელია.

ევროკავშირი საქართველოს პოლიტიკურ ძალებს მიმართავს

ევროკავშირი საქართველოში პოლიტიკურ მოთამაშეებს პოლარიზების და დაძაბულობის გაზრდისკენ მიმართული განცხადებების გაკეთებისგან ან ნაბიჯების გადადგმისგან თავის შეკავებას ურჩევს.

ამის შესახებ ნათქვამია ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების საბჭოს შეხვედრის შემდეგ გავრცელებულ ერთობლივ განცხადებაში, რომელიც ევროპის საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, შეხვედრის ორივე მხარე — ევროკავშირი და საქართველო, შეთანხმდა, რომ საჭიროა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოების ფონზე დემოკრატიული ინერცია შენარჩუნდეს: **„ევროკავშირმა საქართველოში პოლიტიკურ მოთამაშეებს მოუწოდა უზრუნველყონ თავისუფალი და პლურალისტური მედიაგარემო ისევე, როგორც პოლიტიკური პლურალიზმი, როგორც დემოკრატიული არჩევნების ჩატარების წინაპირობა და თავი შეიკავონ ნებისმიერი ნაბიჯისგან ან განცხადებისგან, რამაც შესაძლოა გაზარდოს დაძაბულობა და ხელი შეუწყოს პოლარიზებას“.**

ევროკავშირმა და საქართველომ ასოცირების საბჭოს მეორე შეხვედრა 16 ნოემბერს გამართეს. ასოცირების საბჭო უმაღლესი ფორმალური ორგანოა, რომელიც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, შეთანხმების განხორციელებაზე ზედამხედველობისთვის შეიქმნა.

„პია“

ვაჟა ოთარაშვილი მოშიმშილეების გეგმა „ბე“-ს ამხელს

„თუ „ოცნება“ შეცვკებაზე წამოვა, მარტო ორი მინისტრის კი არა, მთელი მთავრობის გადადგომასა და ვადამდელ არჩევნებს მოვითხოვთ!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

კანცელარიის წინ შიმშილობას საქართველოს პატრიოტთა ალიანსის პოლიტიკური მდივანი, პოეტი ვაჟა ოთარაშვილიც შეურთდა. კიდევ რამდენიმე დღეც და ალბათ, მოშიმშილეების მთავრობის კანცელარიის წინ შიშველ ბეტონზე ჯდომა ძალიან გაუჭირდებათ, რადგან მერია და მთავრობის ადმინისტრაცია ქოლგებისა თუ კარვების გაშლის საშუალებას კვლავინდებურად არ იძლევა. რა ალტერნატიული გეგმა აქვს პარტიას, მიდის თუ არა ორივე მხარე ხელოვნური დაპირისპირებისკენ და რატომ ელის „სამხედრო კარუსელს“ ვაჟა ოთარაშვილი 2016 წლის არჩევნებზე — „ვერსიას“ პატრიოტთა ალიანსის პოლიტიკური მდივანი ესაუბრება:

— ბატონო ვაჟა, ერთ დროს, ამბობდნენ, „ოცნება“ და პატრიოტთა ალიანსი ერთი ძალაა, ახლა კი ლამის ორი კვირაა, ცივ ბეტონზე გაშიმშილებენ. იფიქრებდით, რომ 2012 წლის მერე თქვენი ურთიერთობა ასეთ ჩიხში შევიდოდა?

— ამ მოვლენებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ მითია, თითქოს „ოცნება“ და ჩვენი პარტია ერთი და იგივე ძალაა, ან ხელისუფლების სატელიტები ვართ. აი, „ოცნების“ რესპუბლიკური ფრთა და ნაციონალები კი ნამდვილად იდენტური ორგანიზაციებია, როგორც ერთი, მარქსისტული იდეოლოგიის მქონე „ბოლშევიკები“ და „მენშევიკები“ და მარიონეტებივით იმართებიან ერთი „ბოსისგან“. ვინც უნდა იყოს ეს „ბოსი“, ქართველი არ არის და არც ამ ძალებს მოაქვთ სიკეთე ჩვენი ქვეყნისთვის. უკვე ოთხი დღეა ვშიმშილობ, ჩემს მეგობრებს, ირმა ინაშვილს, ადა მარშანიას, ნინო ანდრონიკაშვილს, ეკა მირიანაშვილს, ლევან თედიაშვილსა და სხვებს შევუერთდი. მადლიერი ვარ, რომ სოლიდარობა სხვა ოპოზიციურმა პარტიებმაც გამოგვიცხადეს, თუმცა შუალედურმა არჩევნებმა კატალიზატორის როლი შეასრულა: აღმოჩნდა, რომ სამი წლის განმავლობაში არაფრისმკეთებელ „ოცნებას“ შეუძლია, ხელები გადაგვიგრიხოს, არჩევნების დღეს ისეთი საჯარო მოხელეები გამოიყენოს, როგორებიც თინა ხიდაშელი და გიგლა აგულაშვილი არიან, არჩევნებში ყველა გამგებელი და რწმუნებული ჩართოს და შედეგები გააყალბოს. როგორც ვნახეთ, თუკი 2012 წელს მუხროვანში ნული ჯარისკაცი მსახურობდა, 2013 წელს — 73, 2014 წელს — 96, ხოლო 2015-ში, იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით — 26 ჯარისკაცი, უცებ, 31 აგვისტოს, ხიდაშელი-წულუკიანის სატელეფონო საუბრის შემდეგ, მათი რიცხვი 549-მდე გაიზარდა. მაინტერესებს, რომელი სტრატეგიული მაღლობია საგარეჯო, ან „ევრაზიული ხვრელი“ მაინცდამაინც საგარეჯოდან უნდა ამოავსოს ხიდაშელმა?! ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, რომ დილის 8 საათზე გახსნილ არაერთ უბანზე, შედეგები უკვე დილის ათ საათზე იყო შეჯამებულ-ხელმოწერილი. „ოცნებამ“ კი ყველაფერზე იძახა, ტექნიკური შეცდომაა, ტექნიკურიო. არა, გენაცვალე, საგარეჯოში თვლაც კარგად იციან და საათის ცნობაც და ამით, პირველ რიგში, შეურაცხყოფას საგარეჯოელ ხალხს აყენებენ.

— ხელისუფლება დიდად არც ამ დარღვევებს გამოხმაურებია, არც თქვენს შიმშილობას. არასწორი მეთოდები ხომ არ გაქვთ არჩეული, მით უმეტეს, როცა ოპოზიცია დაქსაქსულია და იგივე მოთხოვნებით სხვა პარტიებმა პარლამენტში ხელმოწერები შეიტანეს?

— არა, რატომ ვართ დაქსაქსული? ინტერპარტიულმა ჯგუფმა გაავრცელა განცხადება და საგარეჯოს არჩევნების გაყალბება აღიარა. უბრალოდ, ჩვენ ჩვენი პოლიტიკური გეზი გვაქვს და რატომღაც, პოლიტიკური ცხოვრება ყველამ იქეთ წაიყვანა, რომ რადიკალები ვჩანვართ.შიმშილობის 10 დღე უკვე გავიდა და გამოჩნდა, რომ ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარეც მშიშარა ბიჭია და მთავრობის მეთაურიც და საკუთარ ხალხთან შეხვედრის ეშინიათ. 50 კი არა, ერთი კაციც რომ შიმშილობდეს, თუნდაც ერთხელ შეხვედრისა და დალაპარაკების ღირსი არ არის? ან სახალხო დამცველი, ბრეჟნევივით რომ აქვს წარბები, მარტო სექსუალური უმცირესობების უფლებების დამცველია, თუ ოლიმპიური ჩემპიონის, თედიაშვილის მოსანახულებლად რატომ არ მოდის? ეს ხომ ერთჯერადი აქცია არაა — ცოტა ხანში ნახავენ, რომ მთელ საქართველოს ფეხზე დავაყენებთ. პროტესტის უკიდურეს ფორმას მივმართავთ და სიცოცხლეს ვრისკავთ, როცა ესენი ფაჩუჩებით დადიან „კუხნებში“. ამიტომ კეთილი ინებოს შს მინისტრმა, კარვები დაგვადგმევინოს, მშვიდობიან მოსახლეობას პოლიციას რატომ უპირისპირებენ?! ბატონ მერაბიშვილსაც ეგონა, რომ შს მინისტრის სავარძელი უკანალზე მარადიულად ექნებოდა მიკრული, მაგრამ დღეს „მატროსოვზეა“. არ მინდა, სხვებსაც ასეთი მომავალი ვუწინასწარმეტყველო, მაგრამ ჩვენს კონსტიტუციურ უფლებას ნუ შეეხებიან!

— ერთი სიტყვით, პოლიცია კარვებს არ გაშლევინებთ, თქვენ მაინც გეგმავთ კუსტარული თავშესაფრების აშენებას. სად არის გამოსავალი?

— აქ ირმა ინაშვილის ერთ მანდატზე ხომ არაა საუბარი, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ვიბრძვით, რათა ისევ ასეთი უღირსი მთავრობა არ მოვიდეს ხელისუფლებაში. გამოსავალი მაღალი პრემიების გამოწერასა და ნეპოტიზმში არ არის. ნეპოტიზმის კლასიკური მაგალითია ცოლი თავდაცვის მინისტრად, ქმარი კი პარლამენტის თავმჯდომარედ და ასე შეწყობილები, როგორც „დოლ-გარმონი“, მართავენ ქვეყანას. სამხედრო გადატრიალების საფრთხე არ არის, რომ საგარეჯოს მსგავსად, შესაძლოა, თავდაცვის მინისტრმა, დიდ ქალაქებში ასობით ჯარისკაცი აქეთ-იქეთ ატაროს?

— ეგ „სამხედრო კარუსელი“ უფრო იქნება, ვიდრე გადატრიალება.

— დიახ, ეს იქნება „სამხედრო კარუსელი“, მაგრამ აქ მხოლოდ ამაზე როდია საუბარი: ხიდაშელმა თავისი კოლგოტი ჩააცვა პარლამენტსა და მთავრობას და ასე დაატარებს ამ ხალხს — ზუსტად ასე დაწერეთ! დიახ, თავზე ჩამოცმული კოლგოტებიდან ვერ გათავისუფლდა პარლამენტი, ვერ დახია ეს კოლგოტი, რომ მოშიმშილეებამდე მოვიდეს. პროცესი დაძაბულობისკენ წავა, თუ კარავს არ დაგვადგმევინებენ. ალტერნატიულ გზასაც გამოვძებნით. ინგოროყვას ქუჩაზე რამდენიმე სახლს დავიქირავებთ, აქციას არ შევწყვეტთ, რათა ქალბატონებმა ღამე წვიმაში არ გაათენონ. ხოლო დილის 7 საათიდან ღამის 2 საათამდე აქცია არ დაიშლება.

— აი, ასე რომ გაშიმშილონ 2016 წლამდე?

— 2016 წლამდე თუ გაიწელა ეს პროცესი, დიდ მიტინგებსა და მანიფესტაციებს მოვაწყობთ ამ ხელისუფლების შესაცვლელად და ჩვენს ხელთ არსებულ ყველა კონსტიტუციურ უფლებას გამოვიყენებთ. არავისთან შეტაკების არ გვეშინია და ნურც პოლიცია გაბედავს მშვიდობიან მოშიმშილეებზე ხელი ან „დუბინკა“ აღმართოს. ეს ხელისუფლების კიდევ ერთი დიდი მინუსი იქნება. თავს ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდებენ. თუ შეტაკებაზე მართლა წამოვლენ, მაშინ მარტო ორი მინისტრის კი არა, მთელი მთავრობის გადადგომასა და ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს მოვითხოვთ.

„მეცნიერებაში წინსვლა კი არა, ინვალიდის ეტლიც ოცნებად მექცა“

ინტერვიუ ბიოფიზიკოს დავით შარვაშიძესთან

ნათია დაუშვილი



დავით შარვაშიძე მეცნიერი, ბიოფიზიკოსია. თავის დროზე, რუსეთში სახელი ჰქონდა განთქმული და მოსკოვის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში ლექციებსაც კითხულობდა. საქართველოში დაბრუნებულმა, პრინციპულად თქვა უარი რუსეთის 500-დოლარიან პენსიაზე. მაშინ ალბათ ვერ წარმოიდგენდა, რომ მალე, 50 დოლარიც სანატრელი გაუხდებოდა, მაგრამ... გადაწყვეტილებას მაინც არ ნანობს. თბილისში, ვერაზე დაბადებულსა და გაზრდილს, დღეს აღარაფერი გააჩნია — ერთმა საბედისწერო დღემ და ავტოკატასტროფამ მისი ბედი გადაწყვიტა. ბატონი დავითი ეტლს მიეჯაჭვა. დღეს, აღარც სამსახური აქვს, აღარც მოსწავლეები ჰყავს, აღარც ბინა აქვს... დავით შარვაშიძე ვაჟა-ფშაველაზე, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. ქუჩაში დამოუკიდებლად გასვლას ვერ ახერხებს. „ვერსია“ გთავაზობთ ინტერვიუს ქართველ მეცნიერთან, რომლის სახელიც, თავის დროზე, მოსკოვში ყველამ იცოდა, დღეს კი სამშობლოში საკუთარი ჭერიც არ აქვს. თუმცა, ჭერს ვინ დაეძებს, როცა მისი მთავარი საფიქრალი ახლა ინვალიდის ეტლია — ისეთი ეტლი რომ მქონდეს, ღილაკს დააწვები და დადის, დამოუკიდებლად გადაადგილებას შევძლებდიო, აცხადებს ბატონი დავითი.

— ბატონო დავით, დიდი ხანია ეტლით გადაადგილდებით?

— 34 წელია ეტლი მჭირდება. ადრე მოსკოვში ვმუშაობდი. როცა ჩამოვედი, მეგობრებმა პატივი მცეს — ფასანაურში ამიყვანეს, მთიულური ხინკალი უნდა გაჭამოთო. ფასანაურსა და ჟინვალს შორის ავარია მომივიდა. 1981 წლის 31 მაისი იყო, მაგ დღეს რა დამავიწყებს... ამ დღის მერე, ასე ვარ. უცხოეთშიც ვიყავი სამკურნალოდ. ბედის ირონიაა, რომ პროფესიით ბიოფიზიკოსი ვარ და დისერტაცია დავიცავი თემაზე: „Сокращение мышц и проведение нервного импульса“.

— ბინის ქირას და გიხდით. მის გარდა ვინმე გეხმარებათ?

— ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც მეხმარება და რომლის მადლიერიც ვარ, „სოციალური პარტნიორობაა“. კვირაში ორჯერ მოდიან ქალბატონები და რაც მჭირდება, მიკეთებენ. მე მხოლოდ მაჯამდე და ტერფებამდე მაქვს ძალა. სიარული სამასი კუნთის შეწყობილი მუშაობის შედეგია. ამ 300 კუნთიდან 250 ტერფებშია. ტერფებში ძალა არ მაქვს და ამიტომაც ვზივარ ეტლში.

— სახელმწიფოსგან რაიმე სახის დახმარებას არ იღებთ?

— როგორც მარტოხელა ინვალიდს, თვეში 60 ლარს მაძლევენ.

— ქუჩაში დამოუკიდებლად გადაადგილებას ახერხებთ?

— ვერა. თუ ვიღაცამ არ ჩამიყვანა, გარეთ ვერ გავდივარ. არც ისე დიდი ხნის წინ, პოლიტიკურ ბრძოლაშიც ჩავერთე. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ვიყავი. დამპირდნენ ეტლს. ისეთს, ღილაკს რომ დააწვები და დადიხარ, მაგრამ... ეგენი ბევრ რამეს დაპირდნენ ხალხს...

— მოსკოვში ლექტორი იყავით. ლექციებს საქართველოში არ კითხულობთ?

— არა. მოსკოვში ვკითხულობდი ლექციებს, მაშინ სხვა დრო იყო, თან ფეხზე ვიდექი. ადრე, ხალხიც სხვანაირი იყო. დღეს ვინმეს რომ სთხოვო, მომეხმარე, ეტლით გადავადგილდეო, არ ვიცი, რა რეაქცია ექნება. საქართველოში კიდევ გამოჩნდება ხალხი, ვინც ამას გააკეთებს, მოსკოვში კი — არა.

— თქვენი პროფესიით, სახლიდანაც ვერ ახერხებთ მუშაობას?

— 1996 წელს, როცა საქართველოში დავბრუნდი, როგორც პატრიოტმა, რუსეთის 500-დოლარიან პენსიაზე უარი განვაცხადე. მაშინ ბინაც მქონდა და ფულიც. მერე, როცა გამიჭირდა, ბავშვების მომზადება დავიწყე და საკმაოდ ცნობილი რეპეტიტორიც ვიყავი — ძალიან იაფად ვასწავლიდი, ჩემი თანამოქალაქეების გაჭირვებულ მდგომარეობას ვითვალისწინებდი და სამ საგანში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მხოლოდ ას ლარს ვიღებდი. 20-25 მოწაფე მყავდა ხოლმე. დღეს ხალხს ამ ფულის გადახდაც აღარ შეუძლია. ბოლო ორი წელია მოსწავლე აღარ მყოლია. კვეხნაში ნუ ჩამომართმევთ, საკმაოდ კარგი მეცნიერი ვიყავი. ძალიან მინდა, მოსწავლეები ისევ მყავდეს.

— დღეს, არც რაიმე კვლევებს აწარმოებთ?

— არა. ბიოფიზიკა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ფიზიკურ პროცესებს ბიოლოგიურ ობიექტებში. ბოლო მიღწევების შესახებაც, უამრავი ინფორმაცია მაქვს, მაგრამ... ვის სჭირდება საქართველოში მეცნიერება? აქ არ უნდა ჩამოვსულიყავი. ბიოლოგიურ ობიექტებში გამოკვლევები რომ აწარმოო, ხარჯებთანაა დაკავშირებული. დიდი ხნის წინ, რუსეთში ერთი წიგნი გამოვეცი. უფრო სწორად, ჩემ პროფესორთან ერთად, თანაავტორიც ვარ. ახლა წიგნის დაბეჭდვა დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. მეცნიერი, ერთი წელიც რომ ჩამორჩე შენს სფეროში მიმდინარე მოვლენებს, სიახლეებს. აღარაფერი გამოგივა. ვცდილობ, ინფორმაცია მუდმივად მქონდეს. აქტიურ მეცნიერებაში კი უკვე 34 წელია აღარ ვარ. იმდენი რაღაც მოხდა. ჩვენ რომ რევოლუციებს ვაწყობდით, უცხოელები მუშაობდნენ. დღესაც უამრავი კვლევა მიმდინარეობს, რომელიც ძალიან მაინტერესებს, მაგრამ... რომელ კვლევასა და მეცნიერებაზეა ლაპარაკი, როცა ამდენი გაჭირვებულია. აგერ, მეც ინვალიდის ეტლი ოცნებად მექცა. ადრე მაჩუქეს ერთი ეტლი, მაგრამ... ჩავჯექი თუ არა, ბორბალი დაიშალა. ძალიან მინდა, ისეთი ეტლი მქონდეს, ღილაკს რომ დააწვები და დადიხარ. ასე უფრო დამოუკიდებელი ვიქნებოდი.

„ოცნების“ მიერ დაპირებულ ინვალიდის ეტლს ბატონი დავითი უკვე დიდი ხანია აღარ ელის — მიხვდა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ამ ძალის არაერთი დაპირება, მხოლოდ დაპირებად დარჩა. დღეს მას რიგითი ადამიანების იმედი აქვს. ფიქრობს, მათი მხარდაჭერით, შესაძლებელი გახდება, ეს ოცნება მაინც აისრულოს და სხვა თუ არაფერი, დამოუკიდებლად გადაადგილება შეძლოს. ბატონი დავითის სახელზე ბანკში ანგარიშის ნომერიცაა გახსნილი: GE15TB7194336080100003 დავით შარვაშიძე.

გართოება

1. აღმოსავლეთ რომის იმპერია
2. ბიბლ. აბრაამისა და სარას ძე
3. წამლების გასაყიდი დაწესებულება
4. მორებისგან შეკრ. სამდინარო ტრანსპორტი
5. განვითარება, წინსვლა
6. რუსი კომპოზიტორი
7. აჭარული ცეკვა
8. საეკლესიო ადმინისტრ. ერთეული
9. სირინოზის ქართული შესატყვისი
10. ბალახოვანი ბოსტნეული მცენარე
11. ფოირვერკის ქაღალდის ჭურვი
12. კავშირგაბმულობის დაწესებულება
13. დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის დედაქალაქი
14. მომღერალი ... ფურტადო
15. მეკობრეთა სპირტიანი სასმელი
16. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი
17. ჭადრაკის ფიგურა
18. ჭამის სურვილი
19. უწესრიგობა, უკანონობა ქვეყანაში
20. ბიბლიური პატრიარქი
21. პოეტი-მომღერალი შუა აზიაში
22. ჩოგბურთელი ... სამპრასი
23. ბრინჯაო ძველ ქართულში
24. საათების მწარმ. შვეიცარული კომპანია
25. მიწაში ამოთხრილი ადგილი
26. თვალის ფერადი გარსი
27. კასრში მცხოვრები ფილოსოფოსი
28. სატელეფონო „სიტყვა“
29. პარიზის ერთ-ერთი თეატრი
30. იტალიელ ფაშისტთა ბელადი
31. ჩინეთის ქალაქ კულჯას მეორე სახელი
32. ნახევარკუნძული ჩრდილოეთ კიმბირში
33. ქსტონეთის სიდიდით მესამე ქალაქი
34. ისტორიის მუზა
35. ნაყოფიერების ქალღმერთი ბერძ. მით.
36. აგამემნონის ვაჟი
37. ამერიკული ავტომარკა
38. პოლონ. რეფესორი
39. ბიჩურინის ხილი
40. ცელქი, მოუსვენარი
41. აფრიკის დედამდინარე
42. დასტურის შეძახილი აშშ-ში
43. ძალიან ბრაზიანი
44. ბუნებრ. წყალსატევი
45. სამიზნე თოფის ლულაზე
46. ბასკური ტერორისტ. ორგანიზაცია
47. ბალნეოლოგ. კურორტი გურჯაანში
48. პატარა დროშა
49. ბალახის ჩრდილი
50. უნგრ. ღვინო
51. ინგლ. ოუდი
52. წყალქვეშა კლდე
53. საცალფეხო გზა
54. მდინარე ესპანეთში
55. უცნობი სიდიდის აღმნიშვ. ასო მათემატიკაში
56. კეთილი განწყობილება ვინმესადმი
57. ბეჭუნის გვარი „დათა თუთაშხიაში“
58. დიონისეს აღმზრდელი
59. ძმები ხერხეულიძეების რიცხვი
60. მატყლის ქსოვილი
61. ადამიანის სამეტყველო ორგანო
62. საყანედ გაკაფული ტყე
63. მიმართულება ისლამში
64. გაზაფხულის ყვავილი
65. ჯარების უფროსი, მხედართმთავარი

ლაბირინთი

ჯადოქარ პური და ვახდით

როგორც ესპანელი დიეტოლოგები ამტკიცებენ, გასახდომი დიეტის დროს, პურზე უარის თქმა არაფრით შეიძლება. პირიქით, გახდომის პროცესი, მისი წყალობით, უფრო ეფექტური იქნება. მადრიდის ლაპასის კლინიკის მედიკოსებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელშიც 122 ჭარბწონიანი ქალი მონაწილეობდა. მოხალისეები ორ ჯგუფად დაყვეს, თითოეული მათგანი დღის განმავლობაში მხოლოდ 1,5 ათას კალორიას იღებდა და ფიზიკურ ვარჯიშებს ასრულებდა, ერთი ჯგუფის წევრები კი პურსაც მიირთმევდნენ. ექსპერიმენტი 16 კვირის განმავლობაში გაგრძელდა. შედეგად კი გაირკვა, რომ ყველა მონაწილემ წონაში თანაბრად დაიკლო, თუმცა ისინი, ვინც პურს მიირთმევდა, ემოციურად უფრო განწონასწორებული და მშვიდები იყვნენ, ვიდრე ის ქალები, რომელთაც მასზე უარი თქვეს. ამ უკანასკნელებისთვის დიეტა უფრო მტანჯველი აღმოჩნდა, რაც მათ ფსიქიკურ მდგომარეობაზეც აისახა.

უძილობისთვის კომპენსაციას გადაუხდიან

იაპონიის სასამართლომ ხელისუფლებას დაავალა, 754 მილიონი იენი (6,1 მილიონი დოლარი) გადაუხადოს ოკინავას პრეფექტურის მოსახლეობას, რომელიც ამერიკული ავაიაბაზა ფუტემას შემოგარენში ცხოვრობს. კომპენსაციას 2,2 ათასზე მეტი ადამიანი მიიღებს. მათ საჩივარი შეიტანეს სასამართლოში,რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ძლიერი ხმაურის გამო, ავიაბაზასთან ახლოს მდებარე სახლების მაცხოვრებლებს სტრესი და უძილობა აწუხებთ. გარდა ამისა, იაპონელების თქმით, მათ ავიაკატასტროფებისაც ძალიან ეშინიათ. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, ამჟამად ტოკიო და ვაშინგტონი განიხილავენ ავიაბაზის გადატანის საკითხს ნაკლებად დასახლებულ რეგიონში.

ვირთხების მკვლელი – ეროვნული გმირი

ცოტა ხნის წინ ბანგლადეშში უცნაური ცერემონია გაიმართა, რომელზეც ქვეყანაში ვირთხების მთავარი ლიკვიდატორები დააჯილდოვეს. გამარჯვებული, რომელსაც ლამის ეროვნულ გმირად აღიარებენ, 55 წლის ფერმერი აბულ მირბოხორი გახდა, რომლის გუნდმაც ერთი წლის განმავლობაში 160 ათასი მღრღნელი გაანადგურა. ფერმერმა პრემიად 250 დოლარი მიიღო. ვირთხებს 1996 წლიდან ვხოცავ და ეს პროცესი ძალიან მიყვარს. ისინი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მტრები არიან, — განაცხადა მირბოხორმა დაჯილდოებისას. აღსანიშნავია, რომ ეს ცხოველები დიდი ხანია ქვეყნის უბედურებად იქცნენ — ყოველწლიურად ისინი 2 მილიონ ტონამდე მარცვლეულს ანადგურებენ, ამიტომ ხელისუფლებამ ყოველწლიური კონკურსი გამოაცხადა ვირთხების განადგურებაზე, რომელშიც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მონაწილეობა საკუთარი გუნდით. კონკურსის შედეგების დასათვლელად ყველა მონაწილე მთავრობას მღრღნლების კუდს უგზავნიდა. მთლიანობაში, ბანგლადეშელმა ფერმერებმა, ერთი წლის განმავლობაში 13 მილიონი ვირთხა გაანადგურეს და ამით 25 მილიონი დოლარის პროდუქტი გადაარჩინეს.

სუდოკუ ყველანაირი

ადვილი

5					8			
3	2				6	9		
		8		3		4		7
					4			1
		9				6		
2			6					
8		5		6		1		
		4	2				3	9
			9					8

სტანდარტი

							5	
			2			9		3
9				3	1	8	7	
				8		5		7
		5	4		9	3		
6		3		7				
	1	2	3	6				9
4		6			2			
	7							

რთული

				4	5			1
		4	2	3		8		5
	5						9	
2	4	8		1				
3								6
				9		1	4	8
	8						1	
4		2		8	1	6		
9			4	7				

ექსპერტი

				5	2			
		6		1				
	3	1					9	8
1	9	5			4	3		
		3	6			5	8	1
3	4					8	5	
				8		7		
			2	6				

მოსაწევი სმარტფონი შექმნეს

კომპანია Vaporcade-მ, რომელიც ელექტრონული სიგარეტის შექმნაზე მუშაობს, ახალი სმარტფონის მოდელი წარმოადგინა, რომლის მოწევაც შეიძლება. სიახლეს მწარმოებლებმა Jupiter უწოდეს და ჯერ-ჯერობით მისი მხოლოდ მცირე დეტალები გაახმაურეს. ცნობილია, რომ გაჯეტს 4 ქსელში შეეძლება მუშაობა და 5,3-დიუმიანი დისპლეი აქვს. გარდა ამისა, სიგარეტი-სმარტფონის შემქმნელებმა მისი ფასი 499 დოლარი დაადგინეს. ჯერჯერობით ისიც უცნობია, როდის გამოვა ბაზარზე მოწყობილობა — მან ჯერ აშშ-ს კავშირგაბმულობის კომისიის სერტიფიკატი უნდა მიიღოს, ამიტომაც გაყიდვაში არ არის.

სასტუმრო გავფვეგისთვის

ესპანელ პატარებსა და ქვეყნის მცირეწლოვან სტუმრებს ამიერიდან საკუთარი სასტუმრო ექნებათ — 4-ვარსკვლავიანი ოტელის დიზაინში განსაკუთრებული ყურადღება გართობასა და სათამაშოებს ეთმობა. ეს პირველი სასტუმროა ესპანეთში, რომელიც სპეციალურად პატარა კლიენტებისთვის აშენდა. მათ შეუძლიათ თემატურად გაფორმებულ 21 ნომერში მოისვენონ. ზოგი მათგანი აუღებელი ციხესიმაგრის სტილშია, ზოგიც პრინცესების ნამდვილ სასახლეს ჰგავს, სხვა ნომრებში უამრავი რბილი სათამაშოა, ოტელის კიბეებზე კი სათამაშო ჯარისკაცები დგანან, რომლებიც სართულებს „იცავენ“. ერთი ნომრის ფასი 110 ევროა და მასში ცხოვრება ერთდროულად 4 დამიანს შეუძლია. აღსანიშნავია, რომ სასტუმროს სპეციალური საბავშვო მენიუ აქვს. გარდა ამისა, პატარა კლიენტებს აქ ანიმაციური ფილმების სეანსებსაც სთავაზობენ და სათამაშოების მუზეუმსაც ათვალიერებინებენ. აქ ბავშვებს ძველი სათამაშოების ნახვის შესაძლებლობა აქვთ და მათი ისტორიის მოსმენაც შეუძლიათ.

დედა ქირით

ნიუიორკლებისთვის, ვისაც პრობლემები აქვს სამსახურში ან შეყვრებულთან და დედის მხარდაჭერა სჭირდება, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე, ახალი სერვისი „საჭიროა დედა“ (Need A Mom) ამოქმედდა. სერვისი საშუალებას იძლევა, მსურველმა იქირაოს „დედა“. 63 წლის ბრუკლინელი ქალბატონი, ნინა კენილი, ამ სერვისის დამფუძნებელი და ორი შვილის დედა — მზად არის, ყურადღებით მოუსმინოს, მისცეს დედობრივი რჩევა, დაეხმაროს, მაგალითად, წვეულების მოწყობაში, გამოუცხოს ტორტი და სხვ. როგორც ნინა ამბობს, სამსახურის შექმნის იდეა იმ ახალგაზრდების გაცნობის შემდეგ გაუჩნდა, რომლებიც ნიუ იორკში ცხოვრობენ და მშობლები ახლოს არ ჰყავთ. თანაც, ყველას არ შეუძლია, დედას ყველაფერზე ელაპრაკოს და ყველა საიდუმლო გაუმხილოს. ნინა კი კლიენტებს არ კიცხავს, არ აკრიტიკებს, მხოლოდ სასარგებლო რჩევას აძლევს. სერვისი სულ ცოტა ხანია ამოქმედდა, თუმცა, ნინას უკვე 10-მდე მუდმივი კლიენტი ჰყავს. მომავალში ის სამსახურის გაფართოებას აპირებს და ოფისების გახსნას სხვა ქვეყნებშიც გეგმავს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

7	8	1	2	4	6	3	9	5
5	9	4	3	8	7	6	2	1
6	2	3	1	9	5	7	8	4
4	6	8	9	7	3	5	1	2
3	5	2	4	6	1	9	7	8
1	7	9	5	2	8	4	6	3
9	4	7	8	5	2	1	3	6
8	3	6	7	1	4	2	5	9
2	1	5	6	3	9	8	4	7

სტანდარტი

6	1	5	3	9	4	2	8	7
9	8	7	2	6	5	3	1	4
4	3	2	8	1	7	6	9	5
7	2	1	6	5	9	4	3	8
8	9	6	1	4	3	7	5	2
5	4	3	7	2	8	1	6	9
2	6	4	5	8	1	9	7	3
3	5	9	4	7	6	8	2	1
1	7	8	9	3	2	5	4	6

რთული

3	2	8	9	7	6	1	5	4
6	5	4	1	8	3	2	9	7
1	9	7	5	4	2	8	3	6
5	8	6	2	3	4	7	1	9
7	4	3	8	1	9	6	2	5
2	1	9	7	6	5	4	8	3
4	3	1	6	5	8	9	7	2
9	7	5	4	2	1	3	6	8
8	6	2	3	9	7	5	4	1

ექსპერტი

2	6	1	9	5	4	3	8	7
5	9	8	3	7	6	4	2	1
7	4	3	2	8	1	9	6	5
3	8	6	1	4	7	5	9	2
4	2	5	6	9	3	1	7	8
1	7	9	8	2	5	6	4	3
6	5	4	7	3	2	8	1	9
9	1	2	5	6	8	7	3	4
8	3	7	4	1	9	2	5	6

მე-12 გვერდი: 1. აპათია; 2. „პეტროფი“; 3. თალმუდი; 4. ოფორტი; 5. ფენიქსი; 6. რუქნადინი; 7. ატელიე; 8. ლეთარგია; 9. „არმაგედონი“; 10. ონიქია; 11. უიტოტო; 12. ჩრჩილი; 13. ვენა; 14. ხატი; 15. ჩაუქი; 16. გოლუა; 17. სიდრი; 18. „ფედრა“; 19. მითი; 20. „იოლანტა“; 21. ჩიტი; 22. პატიო; 23. ავი; 24. ქინძი; 25. ადის; 26. გორდა; 27. ქარიმ ბენზემა; 28. ნანიზმი; 29. პინო; 30. სსრკ; 31. ექო; 32. ბრა; 33. ბელღარი; 34. ლიტაო; 35. „დაისი“; 36. რონალდო; 37. იაკი; 38. პარნასი; 39. ასო; 40. იფიკლე; 41. დარი; 42. კაი; 43. სიბელიუსი; 44. ინდი; 45. ოდეონი; 46. მიზანსცენა; 47. აკა; 48. რაუნდი; 49. არიადნე; 50. ნაღარა; 51. იაკობი; 52. იაბო; 53. სკუფია; 54. საბრინა; 55. აირტონი; 56. კიი; 57. არა; 58. სირიუსი; 59. როდეო; 60. მნე; 61. ბისკაი; 62. ალი; 63. კოზაკი; 64. ნაი; 65. ფრაკი; 66. ნესი; 67. კიტრი; 68. „დდტ“; 69. ერინია; 70. ლიბერო; 71. სოს; 72. სიტე; 73. სამოა; 74. ტაიტი; 75. სირ; 76. რეა; 77. ეფა; 78. სკა; 79. უნისონი; 80. მი; 81. ტრიო; 82. ლაფი; 83. ნონეტი; 84. მელისა; 85. ნოე; 86. ილუზია.

თბილისზე შეყვარებული ბანგლადეშელი იმპრესიონისტის იმპრესია

მაკა ლომაძე
555-27-95-13

მიმო მონდაღს ქართველი გაღერისტები სივრცეს უფასოდ უთმობენ, იუსტიციის სამინისტრო კი უარგუმენტოდ ეუბნება უარს ვიზაზე

მიმო მონდალი პროფესიონალი მხატვარია ბანგლადეშიდან. ძალიან ხშირად ხატავს საქართველოს და მის დედაქალაქს... ამბობს, რომ ერთი ნახვით შეუყვარდა თბილისი. მონაწილეობდა არაერთ ჯგუფურ გამოფენაში. ჰქონდა პერსონალური ვერნისაჟიც. ახალგაზრდაა, მაგრამ აბსტრაქტულ მოდერნს იმპრესიონიზმი არჩია, თუმცა ამბობს, რომ მისნაირებიც არიან შემორჩენილები. მიმო იმპრესიონისტთა საოცრად მომხიბვლელ, იდუმალ და საოცნებო აურაში გვაბრუნებს. იქ, სადაც განწყობაა მთავარი და არა ფორმები, სიზუსტე, შტრიხები... იქ, სადაც პედანტიზმი ვერ ცოცხლობს, ანუ უბრალოდ, მეტი სილაღე და თავისუფლებაა. ბანგლადეშელი მიმო მონდალის შემოქმედებით პრიზმაში გადატეხილია მართლმადიდებლური ტაძრები, თბილისის კოლორიტული ქუჩები, მტკვარი... იმპრესიონისტის მოლბერტზე, ერთმანეთს ანაცვლებენ საქართველოს მშვენიერი პეიზაჟები, ისტორიულ-რელიგიური ძეგლები, თბილისის ბოჰემა...

— მიმო, საქართველოში როდის და რა მიზნით ჩამოხვედით?

— თქვენს ქვეყანაში 2011 წელს ჩამოვედი. საქართველოზე ბევრს მიყვებოდა მეგობარი. ბანგლადეშში, რუსული კულტურის ცენტრში ხატვის მასწავლებლად ვმუშაობდი, მაგრამ ვალდებულებებით დატვირთული სამუშაო არ მომწონდა. მინდოდა, სადმე გავმგზავრებულიყავი. როცა საქართველო „აღმოვაჩინე“, სამიზნედ ავირჩიე. იქ შთაბეჭდილებებისგან დაცლილი ვიყავი, ამიტომ მსურდა ადგილსამყოფელის გამოცვლა და ასეც მოვიქეცი.

— რომელია თქვენი საყვარელი ადგილები შთაგონებისთვის?

— მთელი საქართველო, მაგრამ ჩემი შეყვარებული მაინც თბილისია.

— რატომ გინდათ აქ ცხოვრება?

— იმიტომ, რომ ეს სწორედ ის ქვეყანაა, რომელიც შთამაგონებს. ინსპირაცია კი მხატვარს ჰაერივით სჭირდება. თბილისი ჩემთან ძალიან ახლოა. მიყვარს თქვენი კულტურა, უძველესი ისტორია, ქალაქის არქიტექტურა, სამზარეულო და რა თქმა უნდა, სრულიად საქართველოს სილამაზით ვარ მოხიბლული. აქ დარჩენისდიდი სურვილი მაქვს, მაგრამ რატომღაც, თქვენი მთავრობა ვიზას არ მაძლევს. მიზეზს ვერ მეუბნებიან. დოკუმენტაცია წესრიგში მაქვს, მაგრამ მაინც. აქ ჩემი გულია, არ მინდა ჩემს სამშობლოში დაბრუნება. უამრავმა ქართველმა მხატვარმა გამიწია რეკომენდაცია. კულტურის მინისტრის მოადგილემდეც კი მივიდა ხმა, მაგრამ იუსტიციის სამინისტრო აუღებელი ციხე-სიმაგრე აღმოჩნდა. ან არადა, მხატვართა კავშირის წევრი ვარ, 2014 წელს კი ფიროსმანის 150-წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე დამაჯილდოვეს.

— საქართველოზე შექმნილი ნიმუშები საზღვარგარეთ, ან თქვენს სამშობლოში გაგიტანიათ?

— ბევრ ქვეყანაში მქონდა წაღებული. შარშან, გერმანიაში ავიღე პრიზი შარდენის ქუჩის მოტივებზე შექმნილ ნამუშევრებში. იქნებ, მერე ბანგლადეშშიც წავიღო საქართველოს სერიები, მაგრამ ჯერ არ მივდივარ, რადგან მინდა, რომ დავბრუნდე — ვიზის საკითხის მოგვარებას ველოდები. იქ უკვე ერთ-ერთი გალერეა ელოდება ჩემს გამოფენას. ასევე, იგეგმება ჩემი პერსონალური ექსპოზიცია თბილისის ფოლკლორის გალერეაში. ამაში ფულს არ მთხოვენ. ვნახოთ, რა იქნება.

— ამბობთ, ბანგლადეშში დაბრუნება არ მინდაო. ნოსტალგია არ გაწუხებთ?

— მენატრება ჩემი ქვეყანა, მაგრამ ძირითადად, ჩემი მშობლების გამო. მინდა, მოვინახულო ისინი და მერე, ისევ დავბრუნდე.

— მას შემდეგ, რაც საქართველოში ჩამოხვედით, დაახლოებით რამდენი ნამუშევარი შექმენით?

— 1500-მდე თბილისის და მთელი ქვეყნის მასშტაბით.

— მომავალში რის დახატვას აპირებთ?

— ბევრი ადგილი ვნახე საქართველოში, მაგრამ არასდროს ვყოფილვარ სამეგრელოში. ამიტომ, დიდი სიამოვნებით წავიდოდი და დავხატავდი. ასევე, ვგეგმავ გრანდიოზული პერსონალური გამოფენის მოწყობას სახელწოდებით „საქართველოს სილამაზე“, რისთვისაც სპონსორს ვეძებ.

— ვინ არის თქვენი საყვარელი მხატვარი

— მარკ როტკო აბსტრაქციონისტებისგან, ასევე აკვარელში მომუშავე იმპრესიონისტებისგან, ალვარო კასტანეტი და ჟოზეფ ზბუკვიჩი. ქართველებიდან, მომწონს გუდიაშვილი, გივი ყანდარელი, ნიკო ხერკელაძე და სხვები. ჩემს სამშობლოში, გამოვარჩევდი ჩვენს წამყვან მხატვრებს: იმპრესიონისტ სმ სულთანს, გრაფიკოს ხაინუმ ჰასანს და ზაილნუ აბადინს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.